



საქართველოს კომუნიკაციების მინისტრის  
GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION

# წლიური ანგარიში 2016



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში  
მოკლე ვერსია



2016

კომისიის შესახებ	7
კომისიის აპარატის რეორგანიზაციის პროცესი	8
კომისიის სტრუქტურა	10

## კომისიის საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები

11-12

## მაუწყებლობა

13-18

წინასაარჩევნო მონიტორინგი	14
რადიომაუწყებლობის პრიორიტეტი	15
სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციები	16
ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან მაუწყებელთა დაშვების წესი	16
სამაუწყებლო ბადეში პროგრამების არასახელმწიფო ენაზე განთავსების წესი	16
საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა	17
სტატისტიკა	18

## ელექტრონული კომუნიკაციები

19-24

ფართობოლოვანი მომსახურებების განვითარება	20
სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ახალი ადმინისტრატორის არჩევა	20
სატელეკომუნიკაციო ქსელებთან დაშვების რეგულაცია	21
მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფების LRIC მოდელით გაანგარიშება	21
საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარების პროექტი	22
ფიქსირებული და მობილური ქსელების კონსოლიდირება	23
დომენი .გე	23
ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირება	23
სტატისტიკა	24

## რაღიოსისშირული სპექტრი

25-27

რადიოსისშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემა	26
რადიოსისშირული დიაპაზონების განაწილებასა და ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით საკონსულტაციო დოკუმენტი	26
FM სიხშირეთა თავისუფალი რესურსი	27

საქართველოს ინტერნეტ მმართველობის ფორუმი 2016 (GeolGF-2016)	29
თანამშრომლობის მემორანდუმი „კავკასიის უნივერსიტეტთან“	29
უურნალისტების დაჭილდოება	29

## საერთაშორისო

## თანამშრომლობა

30-34

ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის წევრობა	31
კომისიის წარმომადგენლის ITU-ს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელად არჩევა	31
დიდი მოცულობის მონაცემების (Big Data) პროექტი	31
საქართველოსა და ლიტვას შორის საერთაშორისო როუმინგული მომსახურების თაობაზე	32
ურთიერთგაგების მემორანდუმი	
პოლონეთის დახმარების პროექტი	32
თანამშრომლობა სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ევროპულ ინსტიტუტთან (ETSI)	33
თანამშრომლობა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის	33
სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტთან (ICANN/GAC)	
სხვა საერთაშორისო აქტივობები	34

## მომხმარებელთა

## უფლებების დაცვა

35-37

მოხმარებელთა ინფორმირების სისტემის დანერგვა	37
---	----

## ელექტრონული კომუნიკაციების

## და მაუწყებლობის დარგების

## განვითარების ტენდენციების

## მიმოხილვა

38-65

ზოგადი მიმოხილვა	39
მობილური კომუნიკაციები	43
ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება	49
ფიქსირებული ფართობოლოვანი მომსახურება	52
მაუწყებლობის ტრანზიტი	58
მაუწყებლობა	62

## დანართები

66-111

თანდართული დოკუმენტი – რეორგანიზაცია საქართველოს  
კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში



## პომისის შესახებ

სასიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მაუწყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების დარგების დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოა, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას. კომისიის რეგულირებაში შედის ტელემაუწყებლობა, რადიომაუწყებლობა, მაუწყებლობის ტრანზიტი, ფიქსირებული და მობილური სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურებები.

კომისიის საქმინობის ძირითადი მიზნებია:

- კონკურენტული გარემოს შექმნა
  - უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა
  - მომხმარებელთა ინტერესების დაცვა
  - მომხმარებლებისთვის მომსახურების ფართო არჩევანის და ხელშისაწვდომობის უზრუნველყოფა
  - სიხშირული სპეციალის უფექტურად განაწილება

კომისიის საქმიანობის ძირითადი ფუნქციებია:

- ამოწურვადი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა/მოდიფიცირება/მოქმედების ვადის გაგრძელება/გადაცემა-გადაპირებაზე თანხმობის გაცემა/შეჩერება/განახლება/გაუქმება
  - მაუწყებლობის ავტორიზაციის გაცემა/მოდიფიცირება/შეჩერება/განახლება/გაუქმება
  - ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის გაცემა/შეჩერება/განახლება/ გაუქმება
  - რადიოსისშირული სპექტრის მართვა
  - ნუმერაციის რესურსით და რადიოსისშირული სპექტრით სარგებლობის ნებართვების გაცემა
  - მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება, მათ განხორციელებაზე ზედამხედველობა და კონტროლი
  - საავტორო და მომიჯნავე უფლებების, მავნეზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის, აგრეთვე რეკლამის შესახებ საკანონმდებლო აქტების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი
  - კომისიის რეგულირებას დაქვემდებარებულ პირებს, ასევე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა
  - სატელეკომუნიკაციო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის კვლევა და ანალიზი, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების განსაზღვრა და მათთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება
  - სატელეკომუნიკაციო ქსელებთან და ინფრასტრუქტურასთან დაშვების რეგულირება
  - ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სტანდარტიზაციის, სერტიფიცირებისა და მეტროლოგიური მომსახურების სისტემის დანერგვის ხელშეწყობა
  - საქართველოს კანონმდებლებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება
  - საკომუნიკაციო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვის კონტროლი და შესაბამისი რეგისტრაცია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოა და შედგება ხუთი წევრისგან, რომლებსაც 6 წლის ვადით საქართველოს პრეზიდენტის მიერ (მთავრობასთან შეთანხმებით) წარდგენილი კანდიდატებიდან საქართველოს პარლამენტი ირჩევს. კომისიის თავმჯდომარე 3 წლის ვადით თავად კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევა. კომისიის თავმჯდომარე მართავს კომისიის აპარატს და ახორციელებს წარმომადგენლობით ფუნქციებს. კომისიასთან მოქმედებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.

კომისია არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მისი შემოსავლის წყარო მაუწყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილი რეგულირების საფასურია. რეგულირების საფასურის ოდენობა მაუწყებლებისთვის მათი შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) 0.5%-ს, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირებისთვის შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) 0.75% -ს შეადგინს.

## კომისიის აპარატის რეორგანიზაციის პროცესი

2015 წლიდან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ აპარატის ორგანიზაციული გაძლიერება და ეფექტურობის გაზრდა დაისახა მიზნად. კომისიის შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის გაძლიერებული ინტერესის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთგვარი „სოციალური დაკვეთა“ იყო, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებული იყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნითაც.

კომისიამ შეიმუშავა ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების გრძელვადიანი გეგმა, რომლის თანახმად შესასრულებელი აქტივობები დაიყო რამდენიმე ეტაპად:

- პრობლემების შესწავლა-დიაგნოსტირება
- ცვლილებების დაგეგმვა
- განხორციელება
- შეფასება

პრობლემათა ინდეტიფიცირებისათვის ორგანიზაციული კვლევის ჩატარების მიზნით, 2015 წელს ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა. ტენდერში გამარჯვებულმა საკონსულტაციო ორგანიზაცია „პროექტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფმა“ (PMCG) ორგანიზაციული კვლევის, დაინტერესებული პირების გამოკითხვისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით ორი დოკუმენტი შეიმუშავა - ინსტიტუციური შეფასების დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა წარმოდგენილი კომისიაში არსებული პრობლემები და კომისიის წინაშე მდგარი გამოწვევები; ახალი დებულების პროექტი, რომელიც ორგანიზაციულ დიზაინსა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს მოიცავს. 2016 წლის 1 მარტს, ხანგრძლივი საჭარო განხილვების შემდეგ, კომისიამ №2 დადგენილებით ახალი დებულება დაამტკიცა.

კომისიის წინაშე მნიშვნელოვან გამოწვევად დაღგა კომისიის ახალი დებულებით განსაზღვრული სტრუქტურის კომპეტენტური და მაღალპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება. 2016 წელს, დაგეგმვის ეტაპზე, ორგანიზაციული ცვლილებების განსახორციელებლად კომისიამ შეიმუშავა სათანადო დოკუმენტაცია და სამუშაო ინსტრუმენტები. კერძოდ, დამტკიცდა ახალი დებულების შესაბამისი ორგანიზაციის სტრუქტურა,

საშტატო ნუსხა, პოზიციების თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შემუშავდა ახალი და ძველი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფუნქციების შედარების დოკუმენტი.

ორგანიზაციული ცვლილებების ფარგლებში დასაქმებულთა გამჭვირვალე, სანდო და ვალიდური მეთოდებით შეფასებისთვის დაიგეგმა დასაქმებულთა ატესტაცია. დამტკიცდა ატესტაციის ორეტაპიანი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფდა დასაქმებულთა კომპლექსურ შეფასებას. საქართველოში განხორციელებული ატესტაციის პრაქტიკისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, გადაწყვდა ატესტაციის პირველ ეტაპზე დასაქმებულთა პოტენციალის და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შეფასება, ხოლო მეორე ეტაპზე - თანამშრომლების მიერ კომისიაში შესრულებული სამუშაოს შეფასება. ატესტაციის პროცესის პირველი ეტაპის განხორციელება უზრუნველყო სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა“, რომელმაც კომისიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა“ ტექნიკური დავალების შესაბამისად შეიმუშავა ზოგადი და მენეჯერული უნარების ტესტები და უზრუნველყო ტესტირების პროცესის ადმინისტრირება. მეორე ეტაპზე, ატესტაციაში მონაწილე პირები საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრებმა დასაქმებულების მიერ წარმოდგენილ თვითანგარიშზე (საკუთარი შესაძლებლობებისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ) და უშუალო ხელმძღვანელის შეფასებაზე დაყრდნობით შეაფასეს. კომისიამ შეიმუშავა ატესტაციის წესი, რომლითაც დეტალურად განისაზღვრა დასაქმებულთა შეფასების ეტაპები, წონები და ქულათა კალკულაციის წესი (შესაბამისი ფორმულების მითითებით) და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება, რომლითაც გაიწერა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობის წესი და პოზიციათა შეთავაზების პრინციპები. ატესტაციის წესით განსაზღვრული ალგორითმის გათვალისწინებით, შეიქმნა ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა, რომლითაც შესაძლებელი გახდა თითოეული დასაქმებულის ატესტაციის შედეგების სწრაფი და უშეცდომო კალკულაცია.

აღნიშნული პროცესი 2016 წლის აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. 2016 წლის 30 დეკემბერს, ატესტაციის შედეგებები დაყრდნობით განისაზღვრა იმ პირთა ვინაობა, რომლებსაც შეცვლილი ორგანიზაციული

დღიზაინისა და ფუნქციების შესაბამისად კომისიამ ახალი საშტატო პოზიციები შესთავაზა.


კომისიაში განხორციელებულ ატესტაციას  
დაექვემდებარა (ტექნიკურ პოზიციებზე  
დასაქმებული პირების გარდა) ყველა საშტატო  
და არასაშტატო თანამშრომელი, სულ 81  
თანამშრომელი, რომელსაც კომისიასთან  
გაფორმებული ჰქონდა უვადო ხელშეკრულება.  
2-მა თანამშრომელმა არ მიიღო მონაწილეობა  
ატესტაციაში. 7-მა დასაქმებულმა ვერ გადალახა  
ატესტაციის წესით განსაზღვრული მინიმალური  
კომპეტენციის ზღვარი, 5-მა თანამშრომელმა  
გადალახა ატესტაციის წესით განსაზღვრული  
მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაგრამ  
შტატის შემცირების გამო რეკომენდაცია  
გაეწიათ გათავისუფლების თაობაზე. ატესტაციის  
შედეგად დაწინაურდა 4 თანამშრომელი.  
ატესტაციას დაქვემდებარებული პირებიდან  
67 თანამშრომელთან გაგრძელდა შრომითი  
ურთიერთობა. 2016 წლის 31 დეკემბრის  
მდგომარეობით კომისიის აპარატში 13 პოზიცია  
იყო ვაკანტური.

2016 წელს ორგანიზაციული ეფექტუანობის განვითარების მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობების ნაწილი დასრულდა. 2017 წლისთვის კომისია გეგმავს ვაკანტური პოზიციების ღია კონკურსის მეთოდით კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტებას. გარდა ამისა, ორგანიზაციული ეფექტუანობის უზრუნველსაყოფად, კომისიას აუცილებლად მიაჩნია ადამიანური რესურსების და შიდა აუდიტის (სამუშაო/ბიზნეს პროცესების) მართვის ფუნქციების გაძლიერება. ამ მიზნით, დაგეგმილია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის, შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის, სამოტივაციო პოლიტიკის, პოზიციათა რანჟირების სისტემის და კომისიაში დასაქმებულთა შრომითი მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავება, სამუშაო/ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია.

რეორგანიზაციის პროცესის დეტალური აღწერა, შედეგების ანალიზი და სამომავლო გეგმები იხილეთ კომისიის ვებგვერდზე - <http://gncc.ge/uploads/other/2/2598.pdf>.

## პომისის სტრუქტურა

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში და კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში სულ დასაქმებული იყო 107 ადამიანი. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა 131-ს შეადგინდა.



# პომისის საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები

10111100101011010101100100100001010100100101011001010010101  
0101101001000101110110110010011011001100110010010110110110110  
0101010010100101000101110010010100100100010100100001110101  
0011010100111010100101001000101010010010010010110011001001110  
1001011010100100101000010010010010010110100101001001000001010100  
01001010011100010100101001001000010010010110110111010010101010  
101111001001100111010010010010000111000101001001001000010010110  
0010010000010010011010101001000011001001010000111010010011101  
100101001011001010010010110111010011001001001001010101000100010

კომისიის საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები

<b>ჩატარებული სხდომები</b>	152 სხდომა
მიღებული დადგენილებები	6 დადგენილება
მიღებული გადაწყვეტილებები	858 გადაწყვეტილება
შემთსული კორესპონდენცია	13,429 კორესპონდენცია
<b>საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა</b>	170 წერილი
პასუხისმგებული წერილები	167 წერილი
წერილები წარმოებაში	3 წერილი
<b>განზიღული დავები</b>	20 დავა (დანართი 1)
<b>გამოყენებული სანქციები</b>	91 სანქცია (დანართი 2)
მაუწყებლების მიმართ	31 სანქცია
გაფრთხილება	31
ფულადი ჭარიმა	0
ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული	60 სანქცია
პირების მიმართ	
გაფრთხილება	52
ფულადი ჭარიმა	8
<b>სასამართლო დავები კომისიის მონაწილეობით</b>	53 დავა (დანართი 3)
მაუწყებლებთან	17 დავა
ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ სფეროში ავტორიზებულ პირებთან	34 დავა
სხვა პირებთან	2 დავა
<b>ავტორიზაცია</b>	
ავტორიზაცია მაუწყებლობის სფეროში	11 პირი (დანართი 4)
მაუწყებლობის ავტორიზაციის მოდიფიცირება	23 პირი (დანართი 5)
მაუწყებლობის ავტორიზაციის შეჩერება	12 პირი (დანართი 6)
მაუწყებლობის ავტორიზაციის გაუქმება	4 პირი (დანართი 7)
ავტორიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში	41 პირი (დანართი 8)
ავტორიზაციის შეჩერება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში	7 პირი (დანართი 9)
ავტორიზაციის გაუქმება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში	27 პირი (დანართი 10)
<b>ლიცენზირება</b>	
რადიომაუწყებლობის ლიცენზიების გაცემა	15 ლიცენზია (დანართი 11)
რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოდიფიცირება	3 ლიცენზია (დანართი 12)
რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელება	1 ლიცენზია (დანართი 13)
რადიომაუწყებლობის ლიცენზიების გადაცემაზე თანხმობის გაცემა	7 ლიცენზია (დანართი 14)
რადიომაუწყებლობის ლიცენზიების გაუქმება	1 ლიცენზია (დანართი 15)
რადიოსისტირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა	4 ლიცენზია (დანართი 16)
რადიოსისტირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მოდიფიცირება	2 ლიცენზია (დანართი 17)
რადიოსისტირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების	10 ლიცენზია (დანართი 18)
მოქმედების ვადის გაგრძელება	
რადიოსისტირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაუქმება	3 ლიცენზია (დანართი 19)
<b>სანებართვო საქმიანობა</b>	
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვების გაცემა	72 ნებართვა (დანართი 20)
არაავტორიზებადი საქმიანობისთვის რადიოსისტირული სპექტრით	233 ნებართვა (დანართი 21)
სარგებლობის ნებართვების გაცემა	
<b>მინიჭებები</b>	
რადიოსისტირების მინიჭება	11 მინიჭება (დანართი 22)
ნუმერაციის რესურსი - დამისამართების პრეფიქსის მინიჭება	7 მინიჭება
ეროვნული სასიგნალო წერტილის კოდების მინიჭება	4 მინიჭება
<b>წილის/სამპერაციო ჰქონის შექმნება, კომპანიების შერწყმაზე თანხმობის გაცემა</b>	(დანართი 23)
წილის შექმნაზე თანხმობის გაცემა	13 თანხმობა
საოპერაციო აქტივის შექმნაზე თანხმობის გაცემა	4 თანხმობა
კომპანიების შერწყმაზე თანხმობის გაცემა	2 თანხმობა
წილის შექმნასა და კომპანიების შერწყმაზე თანხმობის გაცემა	7 თანხმობა
<b>ინფორმაციის კომერციულ საღუმლოებად ცნობა</b>	3 მოთხოვნის დაკმაყოფილება
	1 / 7 მოთხოვნის ნაწილობრივ
	ორგანიზაციული მოთხოვნის დაკმაყოფილება (თანართი 24)

# წინასაარჩევნო მონიტორინგი

2016 წელს კომისიამ საქართველოს პარლამენტის არჩევნების მედიამონიტორინგი ჩაატარა. მონიტორინგი 5 თვის განმავლობაში, კერძოდ, 8 ივნისიდან 30 ოქტომბრამდე (არჩევნების მეორე ტურის ჩათვლით) გრძელდებოდა და მას 50 ტელემაუწყებელი და ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული 30 გაზეთი<sup>1</sup> დაექვემდებარა. აღნიშნულ პერიოდში კომისიამ 6 შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა ([www.gncc.ge](http://www.gncc.ge)).

წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორის მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი - „მედია თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“. პროექტის ფარგლებში შემუშავდა წინასაარჩევნო პერიოდის მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო წესები და რეკომენდაციები. ამას გარდა, ევროპის საბჭოს ექსპერტებმა ტრენინგები ჩაუტარეს როგორც მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს, ასევე იმ მაუწყებლებს, რომლებიც ჩართულები იყვნენ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებაში.

მონიტორინგის პროცესში ხორციელდებოდა ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის, ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, წინასაარჩევნო დებატების, წინასაარჩევნო აგიტაციის, საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული რეგულაციების ანალიზი. კომისია აკვირდებოდა აღნიშნულ პროგრამებში მაუწყებლების მიერ კვალიფიციური საარჩევნო და სხვა პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიის მიუკერძოებლად გაშუქებას და მათვის საეთერო დროის სამართლიან განაწილებას.

სატელევიზიო არხების და ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთების გარდა, კომისია, ასევე რადიომაუწყებლების და ელექტრონული მედიის პერიოდულ მონიტორინგს ახორციელებდა.

მონიტორინგის პროცესში არჩევნებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების წესების დარღვევით გამოქვეყნებისთვის კომისიამ 27 აღმინისტრაციული სამართალდაღვევის ოქმი შეუდგინა 22 პირს<sup>2</sup>, აქედან 16 ოქმი - ტელემაუწყებლებს, 6 - საინფორმაციო სააგენტოებს და 5 - გაზეთებს.

გარდა აღნიშნულისა, მონიტორინგის პროცესში შემდეგი დარღვევები დაფიქსირდა:

- ეთერში ახალი ამბების პროგრამების განუთავსებლობა (5 დარღვევა)
- გაზეთების მიერ წინასაარჩევნო (პოლიტიკური) რეკლამის დარღვევით განთავსება (5 დარღვევა)
- ეთერში წინასაარჩევნო დებატების განუთავსებლობა (4 დარღვევა)
- ეთერში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების განუთავსებლობა (3 დარღვევა)
- წინასაარჩევნო ინფორმაციის კომისიაში წარმოუდგენლობა (2 დარღვევა)
- მაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო (პოლიტიკური) რეკლამის დარღვევით განთავსება (2 დარღვევა)

აღნიშნულ პროცესში კომისიის მიერ გამოვლინდა სხვადასხვა სახის ხარვეზები, მათ შორის:

- საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გაშუქების პრინციპი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდოლოგიის საიმედოობისა და შედეგების ობიექტურობის გადამოწმების მექანიზმებს და პროცედურებს.

<sup>1</sup> საარჩევნო პროცესში მედიის მონიტორებისა და მისი გამოყენების ზოგადი რეგულაციები მაუწყებლების გარდა ვრცელდება ასევე იმ გაზეთებში, რომლებიც ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, შესაბამისად წინასაარჩევნო პერიოდში კომისია აღნიშნული გაზეთების მონიტორინგსაც აწარმოებს

<sup>2</sup> კომისიამ 2 კომპანიას 3-ჯერ, ხოლო 1 კომპანიას - 2-ჯერ შეუდგინა სამართალდარღვევის ოქმი, შესაბამისად კომპანიების და კომისიის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმების რაოდენობა უზთმანეთს არ ემთხვევა

- წინასარჩევნო (პოლიტკური) რეკლამის შინაარსი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი მკაფიოდ არ განსაზღვრავს რა ნაწილში, რა მოცულობით ათავისუფლებს მაუწყებელს წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობისგან. კანონმდებლობა მკაფიოდ არ ითვალისწინებს შეუსაბამო შინაარსის მქონე რეკლამის გავრცელებით მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების ეფექტიან მექანიზმებს და მაუწყებელთა ვალდებულებებს ამ კონტექსტში. შესაბამისად, განსახილველ საკითხებს წარმოადგენს: მაუწყებლის წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებელობისგან გათავისუფლების ფარგლები; შეუსაბამო შინაარსის მქონე რეკლამის გავრცელებით მოსალოდნელი შედეგები და მათი თავიდან აცილების მექანიზმები; პოლიტიკური რეკლამის შინაარსის დამოუკიდებლად შეფასება, გამოყოფილი საეთერო დროის საკუთარი შეხედულებისამებრ, საარჩევნო სუბიექტთან შეთანხმების გარეშე განვარგვა და თანმდევი რისკები; წინასაარჩევნო რეკლამის დაჩქარებული წესით შეფასებისა და მის გავრცელებაზე მყისიერი რეაგირების მექანიზმის დამკვიდრება.

- არჩევნების მეორე ტურის ვალდებულებები

საკანონმდებლო დონეზე დასაკონკრეტებელია არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის დღიდან კენჭისყრის დღემდე არსებული ვალდებულებები.

- სოციალური რეკლამის და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განმარტებას, რაც ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და იძენს განსხვავებულ კონტექსტს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ეთერით გავრცელების უფლებით წინასაარჩევნო პერიოდში სარგებლობის დროს.

ზემოაღნიშნული და სხვა იდენტიფიცირებული ხარვეზების გათვალისწინებით კომისია საკანონმდებლო ცვლილებების პროექტს ამზადებს.

ରାଷ୍ଟ୍ରନାମାତ୍ରମେଳନକୁ ପରିବର୍ତ୍ତନ ଆବଶ୍ୟକ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომისია ორ წელიწადში ერთხელ რადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს ადგენს. დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით ხდება რადიომაუწყებლობის სფეროში კონკურსების გამოცხადება, გამარჯვებულების გამოვლენა და მათვის ლიკვიდირების გაცემა.

საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის (ეროვნული მაუწყებლობა) ყველაზე მოთხოვნად კატეგორიად საერთო მაუწყებლობა განისაზღვრა, მას მოსდევს სათემო რადიომაუწყებლობა და სპეციალიზებული მაუწყებლობა (სამართლებო ზონების მიხევთით პრიორიტეტის განაწილება იზოლირება თანართ 25-ში).

2016 წელს დაგენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით, კომისიამ კონკურსების საფუძველზე 15 ლიცენზია გასცა (თანართი 11).

# მაუწყებლობა



ესაკრძალვული პროცესის დროის განვითარების  
და განვითარების სამსახურის მიერ განვითარების  
და განვითარების სამსახურის მიერ განვითარების  
და განვითარების სამსახურის მიერ განვითარების

ესაკრძალვული  
პროცესის დროის  
განვითარების სამსახურის  
მიერ განვითარების

ესაკრძალვული  
პროცესის დროის  
განვითარების სამსახურის  
მიერ განვითარების

ესაკრძალვული  
პროცესის დროის  
განვითარების სამსახურის  
მიერ განვითარების

ესაკრძალვული  
პროცესის დროის  
განვითარების სამსახურის  
მიერ განვითარების

ესაკრძალვული  
პროცესის დროის  
განვითარების სამსახურის  
მიერ განვითარების

სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციები

„ມາງໝູງບໍລອບດີສ ສະເກົນ“ ການອົບທີ່ ສັບສົນລອດ ດວລິລະບົບດີສ ສັບສົນມີສາດ, ກອມໃສ່ອາມ 2016 ປີລືສ 14 ອານວາරສ, ເວັບອົບດີສ ຕ້າຮລາມເງົນດີສາ ແລະ ສາດັກໂລສ №2010/13/EU ທຸກອົບ-ວິທີ່ສູລູຮົມ ມີຄວາມສັບສົນຂອງບົດດີສ (AVMS) ດີອົບແຈ້ງຕົວວິທີ່ ແລະ ເວັບອົບດີສ ຖາວະນິຍາວິທີ່ ຢຶງຮັບ ກົງຢູ່ນິຍົດສິນເຊີນ, ສຳເນົາສົມບົດດີສ ມີຕົວຕະຫຼາດ ສັບສົນຂອງບົດດີສ №1 ດັວກເນື້ອລູ່ບັນຍາ ມີອົງລອ.

დადგენილებით განსაზღვრულია სპონსორობის განთავსების წესები და ფორმები. მაუწყებლებს დაევალათ სპონსორობის რეკლამისგან, ტელეშოპინგისა და პროგრამაში პროდუქტის/მომსახურების განთავსებიგან (Product Placement) გამივნა.

ლია საეთერო მულტიპლექსილატფორმებთან მაუწყებელთა დაშვების  
წესი

2016 წლის 30 ივნისს კომისიამ დია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან მაუწყებელთა დაშვების წესის დამტკიცების შესახებ №5 დადგენილება მიიღო. დადგენილებით განისაზღვრა დაშვების წესები, პროცედურები და ვალიდულიერები.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, მულტიპლექსში დაშვებისას უპირატესობა ენიჭება იმ მაუწყებლებს, რომელთა პროგრამები მაღალი გარჩევადობის (HD) ფორმატში გადაიცემა.

სამაუწყებლო ბალეში პროგრამების არასახელმწიფო ენაზე  
განთავსების წესი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომისიამ 31 ოქტომბრის №6 დადგენილებით განსაზღვრა სამაუწყებლო ბადეში არასახელმწიფო ენაზე პროგრამების განთავსების წესი.

დადგენილებით საქართველოში ავტორიზებულ საერთო ეროვნულ მაუწყებლებს დაევალათ პროგრამების ქართულ ენაზე განთავსება. არასახელმწიფო ენაზე პროგრამების განთავსება შესაძლებელია ქართულ ენაზე სავალდებულო სუბტიტრებით, ისე რომ აღნიშნული პროგრამების მოცულობა არ აღემატებოდეს დღიური მაუწყებლობის ხანგრძლივობის 10%-ს. ამასთან, საუკეთესო დროს (19:00 საათიდან 24:00 საათამდე) არასახელმწიფო ენაზე განთავსებული პროგრამების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს საუკეთესო დროის 10%-ს.

რაც შეეხება ადგილობრივ საერთო მაუწყებლებს, არასახელმწიფო ენაზე პროგრამების განთავსებისას, მათ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაევალათ სამაუწყებლო ბადეში, მათ შორის საუკეთესო დროს, ახალი ამბების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების ქართულ ენაზეც განთავსება.

## საავტორო და მომისრავე უფლებების დაცვა

თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიური პლატფორმების დანერგვისა და განვითარების პირობებში საავტორო და მომისრავე უფლებების დაცვას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ასოცირების შესახებ შეთანხმებით ჩვენს სახელმწიფოს საავატორო და მომისრავე უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ვალდებულება აქვს ნაკისრი. კომისია აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით კომუნიკაციების ბაზის დარეგულირებისა და ევროპის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევის მიზნით.

2016 წელს კომისია აწარმოებდა მაუწყებლების და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების საქმიანობის მონიტორინგს. პროცესში გამოკვლეული დარღვევების საფუძველზე, კომისიამ მაუწყებლების მიერ ეთერში მხატვრული ფილმების არამართლზომიერი განთავსების გამო 4 სანქცია, ხოლო შესაბამისი ნებართვების/ხელშეკრულების გარეშე სამაუწყებლო არხების რეტრანსლირებისთვის მაუწყებლობის ტრანზიტზე


ავტორიზებული პირების მიმართ - 23 სანქცია გამოიყენა. 1 შემთხვევაში, დენადი ხასიათის დარღვევის გამო, კომპანიას ავტორიზაცია შეუჩერდა. ამ პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე კომპანიის მიერ ერთობლივი კანონდარღვევის, ასევე უკანონ საქმიანობის ფაქტები, რომლებიც კომისიამ საქართველოს ფინასთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს და საქართველოს პროკურატურას მათი უფლებამოსილების ფარგლებში მოკვლევისა და რეაგირებისთვის გადაუგზავნა<sup>3</sup>.

სამართალდამრღვევი კომპანიების ქმედებით მნიშვნელოვანი ზიანი ადგება როგორც საავტორო უფლებების მფლობელებს, ასევე კონკურენტ კომპანიებს, რომლებიც კეთილსინდისიერად საქმიანობენ და სოლიდურ თანხებს იხდიან სამაუწყებლო არხების/მხატვრული ფილმების განთავსების უფლებების მოსაპოვლებლად. ამას გარდა, არაკანონიერი საქმიანობით ილახება ქვეყნის იმიჯი საერთაშორისო ბაზარზე.

<sup>3</sup> აღნიშნული გადაწყვეტილებები კომისიამ 2017 წელს მიიღო


## სტატუსტიკა

მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაცია  
მაუწყებლობის სახელის/სახეობების/ქვესახეობების  
მიხედვით (ავტორიზაცია გაიარა სულ 11-მა პირმა)




- კერძო საერთო ტელემაუწყებლობა
  - კერძო სპეციალიზებული ტელემაუწყებლობა
  - კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა

რადიომაცნებლობის ლიცენზიების გაცემა  
მაუწვებლობის სახეობების/ქვესახეობების  
მიხედვით (სულ 15 ლიცენზია)



- კერძო საერთო რადიომაუწყებლობა
  - კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა
  - სათემო რადიომაუწყებლობა


სამართალდარღვევის სახელი რადიომაუწყებლობის სფეროში (სულ 37 სამართალდარღვევა)



- საერთო მაუწყებლობის ავტორიზაციის  
პირობების დარღვევა
  - სპონსორზე მითითების წესების დარღვევა
  - ავტორიზაციის პირობების შესახებ ინფორმაციის  
წარმოუდგენლობა
  - მხატვრული ფილმების არამართლზომიერი  
გადაცემა
  - სხვა

\*გრაფიკში მოცემული სტატიკიგა ეყრდნობა მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული და ლიცენზირებული პირების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების საერთო რაოდენობას და არა კომისიის მიერ გამოყენებული სანქციების რაოდენობას, რადგან ხშირ შემთხვევაში სანქცია კომპანიას დაკისრა რამენიმე სახის სამართალდარღვევის ჩადენის გამო. დეტალური ინფორმაცია კომისიის მიერ გამოყენებული სანქციების შესახებ იხლეთ დანართ 2-ში

## სასამართლო დავები მაუწყებლებთან (სულ 17 დავები)



- დასრულდა კომისიის სასარგებლოდ
  - მიმდინარე

# ელექტრონული პორტალის



ელექტრონული პორტალის მუნიციპალიტეტის დაწესებულება

ელექტრონული პორტალის დაწესებულება

სახელმწიფო სამსახურის

სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის დაწესებულება

ელექტრონული პორტალის მუნიციპალიტეტის დაწესებულება

სამსახურის

სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის დაწესებულება

ელექტრონული პორტალის მუნიციპალიტეტის დაწესებულება

ფართობოლოვანი მომსახურებების განვითარება

2016 წელს კომისიამ მობილური ფართობოლოვანი მომსახურებების განვითარებისთვის რადიოსისშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გასაცემად მრავალლიცენზიანი (თანმდიმდევრული) აუქციონები გამოაკვადა.

31 მაისს გამართულ აუქციონში კომპანია „მაგთიკომმა“ გაიმარჯვა, რომელმაც 800მჰკ სიხშირულ დიაპაზონში რადიოსისტირული სპექტრით სარგებლობის ღიცენზია მოიპოვა. ღიცენზის ღირებულებამ 25,391,303 შეადგინა. „მაგთიკომი“ ღიცენზიას მეოთხე თაობის (4G) ინტერნეტ ქსელის გასაფართოებლად გამოიყენებს.

23 დეკემბრს კომისიის მიერ ჩატარებულ აუქციონში გამარჯვებულად კომპანია „მობიტელი“ („ბილაინი“) გამოვლინდა. აუქციონზე გამოტანილი იყო 2100 მგჰ სიხშირულ დიაპაზონში ორი - 2x5 მგჰ სიხშირული ზოლი. „მობიტელის“ მიერ ლიცენზიების სარგებლობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა 14,499,878 ლარით განისაზღვრა. აღნიშნული ლიცენზიებით „მობიტელი“ მესამე თაობის (3G) ინტერნეტ მომსახურების დანერგვას შეძლებს.

სააპონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა  
ცენტრალური ბაზის ახალი აღმინისტრატორის არჩევა

კომისიის 2016 წლის 17 მაისის №259/10 გადაწყვეტილებით სააპონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის აღმინისტრატორი გახდა შპს „მედიაფონი“, რომელმაც კომისიის მიერ ჩატარებულ კონკურსში გაიმარჯვა.

კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ, ასევე, კომპანიები „პორტაბელობა ჭი“ და „მედიაპრო ჭორჯია“, რომელიც 2010 წლიდან აღნიშნულ დრომდე უზრუნველყოფდა სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა კიბერულების გაზიარების მიზანზე.

გამარჯვებული კომპანია 5 წლის განმავლობაში გაუწევს ბაზას ადმინისტრირებას. პორტაბელურობის მომსახურების უზრუნველყოფისთვის სატელეფონო კომპანიების მიერ „მედიაფონისთვის“ ჰამურად გადასახდელი თანხა წელიწადში 274,899 ლარს (დოლ-ს გარეშე) შეადგინა.

კომისიამ 2014 წლიდან დაიწყო ცვლილებების შეტანა სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულებაში, რომლის თანახმად, შეიცვალა სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ პორტირების განმახორციელებელი ადმინისტრატორისთვის პორტირების მომსახურების საფასურის გადახდის პრინციპი. კერძოდ, ზაცვლად თითოეულ სააბონენტო ნომერზე საკონკურსო პირობებით წარდგენილი წლიური ტარიფის (თითოეულ სააბონენტო ნომერზე წლიურად 0.38 ევრო+სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალურ ბაზასთან სინქრონიზაციის მომსახურების საფასური 12 ევრო) გადახდისა, კომპანიებს დაეცალათ თიქმისილი ბუღლი წლიური საფასურის გადახდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2011 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ავტორიზებული პირების მიერ პორტფილების მომსახურების უზრუნველყოფისთვის გადახდილი კამური წლიური თანხები (დღგ-ს გარეშე):

2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი
6,336,877 ლარი	6,689,811 ლარი	5,908,434 ლარი	4,516,576 ლარი	1,277,753 ლარი	1,317,923 ლარი <sup>4</sup>

4 თანხის სხვაობა 2015 წელთან შედარებით ვალუტის კურსის კვლეობით არის განპირობებული

## სატელეკომუნიკაციო ქსელებთან დაშვების რეგულაცია

კომისიის 16 ივნისის №351/19 გადაწყვეტილებით საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების მომსახურების ბაზრის რეგულირებას დაქვემდებარებული შესაბამისი სეგმენტი ქ. თბილისში გეოგრაფიულ ზონებად დაიყო. შესაბამისად, უბნების მიხედვით განისაზღვრა როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირები, ასევე ამ მომსახურების საბიუმო ტარიფები. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებებად შემდეგი კომპანიები განისაზღვრნენ: „სისტემები“, „ახტელი“, „კავკასუს ონლაინ“ (ამჟამად „მაგთიკომი“), „ახალი ქსელები“ და „სილქნეტი“.

აღნიშნულ ცვლილებამდე თბილისში საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების სეგმენტები მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად განსაზღვრული იყო მხოლოდ „სილქნეტი“, შესაბამისად სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის სატარიფო რეგულირების, მხოლოდ მას ჰქონდა დადგენილი.

კომისიის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ხელი უნდა შეუწყოს საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების სეგმენტები კონკურენტული პირობების და ფასების დაწესებას.

## მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფების LRIC მოდელით გაანგარიშება

2015 წელს, მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფების გაანგარიშების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის თანამედროვე მეთოდოლოგიური წესების შემუშავების მომსახურებების შესყიდვის მიზნით კომისიამ ტენდერი გამოაცხადა, რომელშიც კომპანია „Ernst & Young“-მა გაიმარჯვა. კომისიასა და „Ernst & Young“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2016 წელს „Ernst & Young“-მა უზრუნველყო შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- ევროპის კომისიის №2009/396/EC რეკომენდაციით გათვალისწინებული მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში განვითარება მომავალზე თანამედროვე მეთოდოლოგიური წესების შემუშავების ნაგარდი დანახარჯების LRIC მოდელის მიხედვით
- მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში განვითარება მომავალზე თანამედროვე მეთოდოლოგიური წესების შემუშავება
- LRIC მოდელის გამოყენების მეთოდოლოგიური წესების შემუშავება
- LRIC მოდელში შესაყვანი მონაცემების პარამეტრების შესაძლო ცვლილების საფუძველზე მგრძნობირობის ანალიზის (Sensitivity Analysis) ფუნქციის მქონე ელექტრონული ცხრილის შემუშავება
- მობილურ და ფიქსირებულ ქსელში განვითარება მომავალზე თანამედროვე მეთოდოლოგიური წესების შემუშავების მიზნით, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება „WACC“-ის გაანგარიშება
- დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგიური წესების შემუშავება

იქიდან გამომდინარე, რომ LRIC მოდელის დანერგვას საკანონმდებლო ცვლილებების მიღება ესაჭიროება, კომისიამ საქართველოს მთავრობას (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების ინიცირების მიზნით, საკანონმდებლო წინადადება (კანონპროექტი) წარუდგინა.

# საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარების პროექტი

2016 წლის ივლისში დაიწყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და კომისიის ერთობლივი პროექტის - „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარება“ განხორციელება. პროექტის მიზანია ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში დახმარება.

პროექტის ბიუჯეტი 630,000 ევროს შეადგენს, 90% სლოვაკეთის მთავრობის მიერ, ხოლო 10% კომისიის ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროექტს ახორციელებს მულტინაციონალური კორპორაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: „Grant Thornton Advisory s.r.o.“ (სლოვაკეთი), „PIERSTONE s.r.o.“ (ჩეხეთი), „Analysys Mason Limited“ (დიდი ბრიტანეთი).

პროექტი მოიცავს სამ მიმართულებას:

- საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია
- ე.წ მომავალი თაობის ქსელებთან დაშვების (NGA) რეგულირება
- სექტორის სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება
  - ბაზრების ანალიზი
  - მონოპოლიის წარმოქმნის პირობებში მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ჩარჩოს შემუშავება
  - რადიოსისტირული სპექტრის მართვა-განაწილების პრაქტიკის შესწავლა, რეკომენდაციების/პროცედურების შემუშავება

2016 წელს პროექტის სამივე მიმართულებით დასრულდა პირველი ეტაპი, შემუშავდა სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის<sup>5</sup> გაზიარებასთან დაკავშირებით „ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, რომელიც მაღალსიჩქარიანი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განვითარების შესახებ ევროპის კავშირის №2014/610/EU დირექტივის შესაბამისად მომზადდა.

ცვლილებების პროექტის მომზადების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მფლობელი ოპერატორები. ინფრასტრუქტურის გაზიარების საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრები გაიმართა, ასევე, ენერგო კომპანიებთან და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიისთან.

კანონპროექტი მიზნად ისახავს ქვეყნის მასშტაბით არსებულ სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მომსახურებისთვის გამოსაყენებელ ინფრასტრუქტურასთან დაშვების რეგულირებას და ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობის გამარტივებას.

პროექტით გათვალისწინებულია საინფორმაციო ცენტრის შექმნა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება დეტალური ინფორმაციის მიღება საქართველოს მასშტაბით არსებული ქსელების შესახებ. ამას გარდა, დაგეგმილია შენობა-ნაგებობებში შიდა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაყვანასთან დაკავშირებული ერთიანი წესის შემუშავება/დანერგვა და სამშენებლო ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურის ელექტრონული კომუნიკაციების ქსელის ოპერატორებისთვის არადისკრიმინაციული პირობებით ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული ცვლილებების მიღება მნიშვნელოვანია რამდენიმე კუთხით. პირველ რიგში, ის ხელს შეუწყობს რეგიონებშიმაღალისიჩქარიანიფართობოლოვანიინტერნეტმომსახურებებისგანვითარებას. ამავდროულად, შემცირდება სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ხარჯები, რაც თავისთავად მომხმარებლისთვის შეთავაზებული მომსახურების ფასზე აისახება. ამას გარდა, შემცირდება გარემოს დაბინძურების რისკები.

<sup>5</sup> სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ინფრასტრუქტურაში იგულისხმება ქვეყნის მასშტაბით არსებული ინფრასტრუქტურა (ელექტროგადამცემი ანძები, წყალგამანაწილებელი ქსელები, ქუჩის განათების ბოძები და ა.შ.), რომელიც შესაძლებელია რომ გამოყენებულ იქნას სატელეკომუნიკაციო მომსახურებისთვის

ဒေဝါဒပြည်နယ်မြို့၊ အမှတ် ၁၃၁၊ ရန်ကုန်မြို့၊ ရန်ကုန်တိုင်းဒေသကြီး၊ မြန်မာနိုင်ငြာန

ფიქსირებული და მობილური ქსელების კონსოლიდირებისა და კონვერგენციის ტენდენცია, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც შეიმჩნევა. ბოლო წლების განმავლობაში მობილური ქსელის ოპერატორები ინტერნეტ საცალო მომსახურების სეგმენტით დაინტერესდნენ.

2015 წელს, კომისიის მიერ გაცემული წინასწარი თანხმობის ფარგლებში, „მაგთიკომბა“ ინტერნეტ ბაზრის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშის - „კავკაზუს ონლაინის“ საოპერაციო აქტივი (საცალო სეგმენტი) შეიძინა. 2016 წელს კომისიამ თანხმობა მისცა „მაგთიკომს“ „დელტა კომმის“ 100% წილის შეძენაზე, ხოლო მათი შერწყმის შემთხვევაში კომპანიას თანხმობა მიეცა მხოლოდ საცალო სეგმენტის ნაწილში. აღნიშნული ტრანზაქციის ფარგლებში, კომისიამ თანხმობა მისცა, ასევე, „დელტა კომმის“, „დელტა-ნეტთან“ და „ა-ნეტთან“ შერწყმაზე და „მაგთიკომს“ შპს „დელტა კომმის“ საცალო აბონენტების მომსახურებისათვის საჭირო საოპერაციო აქტივის შეძენაზე.

მობილური და ფიქსირებული ბაზრის მოთამაშების გაერთიანების ტენდენცია, სავარაუდოდ, მომავალშიც გაგრძელდება.

ლოგინი .გე

2016 წლის 8 აგვისტოდან. გე დომენის ადმინისტრატორმა - საინტერნეტო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრმა (ITDC). გე დომენის ზონაში ინტერნეტ-დომენური სახელების დარეგისტრირება დაიწყო. რეგისტრაციის გახსნამდე 6 თვეს განმავლობაში მიმდინარეობდა სახელმწიფო საჭიროების, სავაჭრო ნიშნის შექმნა და .ge დომენის მთლიანებებისთვის დომენური სახელების რეგისტრის პროცესი.

დომენის მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციამ (ICANN) საქართველოს 2015 წელს მიანიჭა კომისიის ინიციატივითა და ხელშეწყობით.


გე დომენის შემოღებით შესაძლებელი გახდა ინტერნეტ-დომენური სახელების მთლიანად ქართული მხედრული ანბანით დარეგისტრირება. ქართულენოვანი ინტერნეტ-დომენური სახელების დამკვიდრებით ინტერნეტ-სივრცეში გაიზარდა დომენების რესურსი და შესაბამისად, ბაზარზე დომენის ალტერნატიული ვერსიის არჩევის საშუალება გაჩნდა. ამას გარდა, ზედა დონის ეროვნული დომენი ხელს შეუწყობს ინტერნეტ-სივრცეში ქართული ენის გამოყენებას, ზოგადად ქართული ენის და დამწერლობის პოპულარიზაციას და განვითარებას.

## გედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-აღმინისტირების რეგულირება

2016 წელს კომისიამ ზედა დონის დომებში ქვეყნის კოდის - .ge (ასევე ქვეყნის ეროვნული კოდი .გვ) მართვა-ადმინისტრირების რეგულირების თაობაზე საკონსულტაციო პროცესი დაიწყო. ამ პროცესის მიზნებია აღნიშნულ ბაზარზე საერთაშორისო სტანდარდების დამკვიდრება, კონკურენციის განვითარება და მომხმარებლებთა ინტერესების დაცვა.

ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო დოკუმენტი კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა მას და წარმოედგინა მოსაზრებები. წინადადებების გათვალისწინებით კომისია ამზადებს საკანონმდებლო კვილების წინადაღებას.


## სტატისტიკა



ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაცია  
მომსახურების სახეების მიხედვით  
(ავტორიზაცია გაიარა სულ 41-მა პირმა 66 მომსახურების  
სახეზე)

- ადგილობრივი სატელეფონო მომსახურება
- საერთაშორის სატელეფონო მომსახურება
- საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება
- WiFi
- ტელემაუწყებლის ტრანზიტი
- სხვა

\*გრაფიკში გამოყენებული მონაცემი და იმ პირების რაოდენობა, რომლებმაც ავტორიზაცია გაიარეს 2016 წელს ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან კომპანიების დოდმა ნაწილმა ერთდროულად რამდენიმე მომსახურებაზე გაიარა ავტორიზაცია. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ 8-ში




სამართალდარღვევის სახეები ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში

(სულ 96 სამართალდარღვევა)

- სამაუწყებლო არხების არამართლზომიერი ტრანსლირება
- კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასვენება
- კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ფორმის შეცვებლებლობა
- წილის მფლობელის შეცვლის შესახებ ინფორმაციის კომისიაში წარმოუდგენლობა
- რეგულირების საფასურის გადაუხდელობა
- რეგულირების საფასურის გაანგარიშებების კომისიაში წარმოუდგენლობა
- სხვა

\*გრაფიკში მოცემული სტატიკია ეყრდნობა მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული და ლიცენზირებული პირების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების საერთო რაოდენობას და არა კომისიის მიერ გამოყენებული სანქციების რაოდენობას, რადგან ხშირ შემთხვევაში სანქცია კომპანიას დაეკისრა რამენიმე სახის სამართალდარღვევის ჩადენის გამო. დეტალური ინფორმაცია კომისიის მიერ გამოყენებული სანქციების შესახებ იხილეთ დანართ 2-ში



სასამართლო დაგენერირებული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებთან  
(სულ 34 დაგა)

- დასრულდა კომისიის სასარგებლოდ
- მიმდინარე
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა

# რალიოსიხშირული სპექტრი



ელექტრონული კომუნიკაციების ზოგიერთი მიმღებელის  
დამატებითი სისამაგრებლობა

ელექტრონული გადახდების ზოვანება

სისამაგრებლობის დაზიანება

სამუშაოს დაზიანება  
მანქანიზმების მიზან

ელექტრონული გადახდების  
მიზან

სამუშაოს დაზიანება  
მანქანიზმების მიზან

ელექტრონული გადახდების  
მიზანის დაზიანება

კომიტეტი

## რალიონსიხშირული სპეცტრის მონიტორინგის სისტემა

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ და რადიოსისტირული სპექტრის გამოყენების ინტენსივობის ზრდამ რადიოსისტირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა განაპირობა. 2016 წელს კომისიამ რადიომონიტორინგის ერთიანი სისტემის დასანერგად მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწია.

2015 წელს კომისიამ ხელშეკრულება გააფორმა ამერიკულ კომპანია „TCI International, Inc.“-თან, რომელიც უზრუნველყოფს რადიომონიტორინგის და ჰელენგაციის (მიმართულების დადგენა) აპარატურის და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მოწოდებას, საინსტალაციო სამუშაოების ზედამხედველობას და ადგილობრივი ჰერსონალის გადამზადებას.

2016 წელს „TCI International, Inc.“-ის წარმომადგენლების მეთვალყურეობის ქვეშ კომისიის სპეციალისტების მიერ განხორციელდა ქ. თბილისში, ძეგვის მთაზე და თელეთის ქედზე (შავნაბადის მონასტრის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე კომისიის კუთვნილ სტაციონარულ სადგურებზე „TCI International, Inc.“-ის მიერ მოწოდებული მონიტორინგის და პელენგაციის პარატურის, ასევე შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია და ექსპლუატაციაში გაშვება.

ამას გარდა, „TCI International, Inc.“-ის პარტნიორმა კომპანია „TVC“-მ სიხშირული მონიტორინგის მობილური სადგურისთვის შეძენილი ავტომობილი სპეციალური აპარატურითა და პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვა.

კიდევ ერთი მონიტორინგის ანძის აშენებას კომისია 2017 წელს დაბა წყნეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გეგმავს. ანძის შესაბამისი ტექნიკითა და პროგრამირებით აღჭურვას კვლავ „TCI International, Inc.“ განახორციელებს.

მონიტორინგის სისტემის დანერგვა მთლიანად კომისიის ბიუჯეტიდან ფინანსდება. კომპანია „TCI International Inc.“-თან გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება 1,492,515 აშშ დოლარს შეადგენს. თელეთის ქედზე 60 მ-იანი ანძის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის ღირებულებამ 374,000 ლარი შეადგინა, ხოლო წყნეთის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი ანძის მოწყობის თანხად 204,000 ლარია განსაზღვრული.

რადიოსიხშირული დიაპაზონების განაწილებასა და  
ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით საკონსულტაციო დოკუმენტი

2016 წელს კომისიამ რადიოსიხშირული დიაპაზონების განაწილებასა და ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით საკუთარ ვებგვერდზე ([www.gncc.ge](http://www.gncc.ge)) საკონსულტაციო დოკუმენტი გამოაქვეყნა. დოკუმენტი წარმოდგენილია ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU), ევროპის კავშირის, ევროპის საფოსტო და ტელეკომუნიკაციების კონფერენციის და ევროპის კომუნიკაციების კომიტეტის მიღებობი, ასევე რადიოსიხშირული დიაპაზონების ჰარმონიზაციის კუთხით ევროპის მასშტაბით განხორციელებული და დაგეგმილი ქმედებები.

განხილულია მობილურ/ფიქსირებულ საკომუნიკაციო ქსელებში ფუნქციონირებადი მიწისზედა სისტემები, რომლებსაც ევროპის კავშირში ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განხორციელების შესაძლებლობა აქვთ, ასევე აღნიშნული მიზნებისთვის გამოსაყენებელი 694-790 მჰც, 1452-1492 მჰც, 2300-2400 მჰც, 2500-2690 მჰც, 3400-3600 მჰც სიხშირული დიაპაზონები და ამ დიაპაზონებში საქართველოში შესაბამისი მომსახურებების დანერგვის შესაძლებლობები და მიზანშეწონილობა. საკონსულტაციო დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მსოფლიო რადიოსაკომუნიკაციო კონფერენციებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ამ გადაწყვეტილებების შედეგებს.

აღნიშნული დოკუმენტით კომისიამ წარმოადგინა სიხშირეთა მოწყობის და განთავსების კონკრეტული სქემები და ამ სქემების რეალიზაციასთან დაკავშირებული ტექნიკური შესაძლებლობები.

## FM სიხშირეთა თავისუფალი რესურსი

კომისია 2 წელიწადში ერთხელ ანაწილებს და აქვეყნებს 87.5–108 მჰპ სიხშირულ დიაპაზონში თავისუფალ სიხშირულ რესურსს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ საქართველოში გამოთავისუფლდა ანალოგური სატელევიზიო მაუწყებლობის მე-4 და მე-5 არხებით დაკავებული მეტრული დიაპაზონის სიხშირულიზოლების ნაწილი, რამაც კომისიას FM მაუწყებლობის განხორცილებისათვის გათვალისწინებულ რადიოსიხშირულ ზოლში (87.5მჰპ – 108მჰპ) გამოთავისუფლებული სიხშირული რესურსის გამოიყენების შესაძლებლობა მისცა.


აღნიშნულის გათვალისწინებით, 2016 წლის 8 სექტემბერს №614/19 გადაწყვეტილებით კომისიამ დაამტკიცა და გამოაქვეყნა 87.5 მჰპ - 108 მჰპ სიხშირულ დიაპაზონში რადიომაუწყებლობის თავისუფალი სიხშირული რესურსი.

გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარეობდა თავისუფალი სიხშირული რესურსის საერთაშორისო კოორდინაციისა და მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმების პროცესი.

საერთაშორისო კოორდინაციის პროცესი გრძელდება და მისი დასრულების შემდეგ, კომისია კვლავ გამოაქვეყნებს თავისუფალ სიხშირულ რესურსს.

2016 წლის 8 სექტემბერს დამტკიცებული სიხშირული რესურსი იხილეთ დანართ 26-ში.

# სხვა აქტივობები



ერაყოფანობის განვითარებისა და მუნიციპალურის  
სამსახურის მიერ გენერირებული ციფრული კონტენტის

მომცემების განვითარება  
უცლელობის სახის

სამსახურის მიერ გენერირებული  
ციფრული კონტენტი

მომცემების განვითარება  
უცლელობის სახის

მომცემების განვითარება  
უცლელობის სახის

კონტენტი

## საქართველოს ინტერნეტ მმართველობის ფორუმი 2016 (GeoIGF-2016)

2016 წლის 5 სექტემბერს თბილისში „ტექნოპარკ საქართველოში“ ინტერნეტ მმართველობის ფორუმი გაიმართა. ღონისძიების ორგანიზაციონური იყო საქართველოს ინტერნეტ მმართველობის ფორუმის საორგანიზაციონი კომიტეტი, რომელშიც სხვადასხვა ინტერნეტ მმართველობის მათ შორის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გაერთიანდა.

ფორუმის სესიებზე კომისიის წარმომადგენლებმა მოხსენები წარადგინეს შემდეგ თემებზე:

- სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარება
- ონლაინ სივრცეში ბავშვების დაცვა
- ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირება
- კომისიის როლი ინტერნეტ სივრცეში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის კუთხით

ინტერნეტ მმართველობის ფორუმი 2015 წლიდან იმართება და მისი ძირითადი მიზნებია:

- ადამიანის უფლებების დაცვა ინტერნეტში
- ქვეყნის კანონმდებლობის საერთაშორისო რეგულაციებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა
- ინტერნეტის უნივერსალი განვითარების ხელშეწყობა
- ინტერნეტის უსაფრთხოების ხელშეწყობა
- ინტერნეტ სექტორში ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების და სერვისების დანერგვის ხელშეწყობა
- ღია დაშვების და მომხმარებლისთვის არჩევანის თავისუფლების პრინციპების დანერგვა
- ინტერნეტში კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების ხელშეწყობა

ფორუმი ევროპის საბჭოს (CoE), საქართველოს ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტოს (GITA), ინტერნეტ საზოგადოების (ISOC), მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ კორპორაციის (ICANN) და ევროპის IP ქსელების საკორდინაციო ცენტრის (RIPE NCC) მხარდაჭერით ტარდება.

## თანამშრომლობის მემორანუმი „პავპასიის უნივერსიტეტთან“

2016 წლის 19 თებერვალს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიასა და „კავკასიის უნივერსიტეტს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში „კავკასიის უნივერსიტეტის“ ტელეკომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს და სამუშაოების ჩაუტარებენ კომისიაში დასაქმებული დარგის სპეციალისტები. სტუდენტებს, ასევე, სამუშაოება ექნებათ სტაჟირება გაიარონ კომისიაში, გაეცნონ რადიომონიტორინგის სადგურების და სისტემის ფუნქციონირებას.

## ურნალისტების დაპილოვება

17 მაისს, კავშირგაბმულობის დღეს კომისიამ სატელეკომუნიკაციო დარგის თემაზე მომუშავე უურნალისტები დააჯილდოვა. სატელეკომუნიკაციო სფეროში მიმდინარე მოვლენების კვალიფიციურად გაშუქებისთვის მადლობის სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „ბიზნეს კონტაქტის“ უურნალისტს ანა ცხოვრებოვას და უურნალ „ლიბერალის“ უურნალისტს დავით ფარულავას.

# საერთაშორისო თანამშრომლობა



ეროვნული გამოცდების მიზანის სამსახურის წევაზე განვითარებული კონკრეტულია

ეროვნული გამოცდების მიზანის სამსახურის წევაზე განვითარებული კონკრეტულია

სახელმწიფო სამსახურის მიზანის სამსახურის წევაზე განვითარებული კონკრეტულია

სახელმწიფო სამსახურის მიზანის სამსახურის წევაზე განვითარებული კონკრეტულია

სახელმწიფო სამსახურის მიზანის სამსახურის წევაზე განვითარებული კონკრეტულია

კონკრეტულია

ეროვნული გამოცდების მიზანის სამსახურის წევაზე განვითარებული კონკრეტულია

## ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორის ნევრობა

2016 წელს საქართველო ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორის წევრი გახდა. ობსერვატორიაში ქვეყანას საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარადგენს.

ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორია დამოუკიდებელი საერთაშორისო ორაგნიზაციაა, რომელიც ევროპისაბჭოს ეგიდითშეიქმნა. ობსერვატორიაში 41 ქვეყანა დაევროპის კავშირიაგაერთიანებული. მისი მიზანია ევროპის აუდიოვიზუალური ინდუსტრიის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება. ობსერვატორია ატარებს ევროპის აუდიოვიზუალური ბაზრის სხვადასხვა სექტორის როგორც ფინანსურ, ასევე სხვა მიმართულებების ანალიზს და შესაბამის ანგარიშებს ამზადებს. ობსერვატორიის საქმინობა მოიცავს შემდეგ სფეროებს: კინო, მაუწყებლობა, გამოძახებითი აუდიოვიზუალური მომსახურებები.

ევროპის აუდიოვიზუალურ ობზერვატორიაში გაწევრიანება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოში ევროპული სტანდარტების დანერგვასა და აუდიოვიზუალური სექტორის განვითარებაზე. ამასთანავე, აღნიშნული ხელს შეუწყობს ქვეყანას ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულებაში, კერძოდ ევროპის კავშირის და საბჭოს №2010/13/EU აუდიო-ვიზუალური მედიის მომსახურებების (AVMS) დირექტივის დანერგვაში.

## კომისიის წარმომადგენლის ITU-ს სამუშაო პგუფის ხელმძღვანელად არჩევა

2016 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, რატი სხირტლაძე, ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) ექსპერტთა ჯგუფის ხელძღვანელად აირჩია. სამუშაო ჯგუფი ქვეყნების ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარების ინდექსის (IDI)<sup>7</sup> დათვლის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაზე იმუშავებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები ITU-ს სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების (EGTI) და შინამეურნეობის ინდიკატორების (EGH) ექსპერტები არიან. ჯგუფმა მუშაობა 2016 წლის ნოემბერში დაიწყო და ანგარიშს 2017 წლის ოქტომბერში წარადგენს.

## დიდი მოცულობის მონაცემების (Big Data) პროექტი

2016 წელს კომისია ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) დიდი მოცულობის მონაცემების (Big Data) პროექტში ჩაერთო. 11 აგვისტოს კომისიაში აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე Big Data-ს პროექტის კოორდინატორმა დამსწრე საზოგადოებას პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. პრეზენტაციას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი მსხვილი ოპერატორები და საჭარო დაწესებულებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საპილოტე პროგრამა ITU-ს მეირ შერჩეულ 6 ქვეყანაში - საქართველოში, ფილიპინებში, კენიაში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, კოლუმბიასა და კორეის რესპუბლიკაში ჩატარდება. პროექტის მთავარი მიზანი დიდი მოცულობის მონაცემების ანალიზე დაყრდნობით ახალი ინდიკატორების შემუშავებაა. იგი დაეხმარება როგორც მთავრობას, ასევე კერძო კომპანიებს სხვადასხვა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაში, პრობლემების გამოვლენაში, ბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასებაში, ეფექტური მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვასა და ინოვაციური მომსახურებების დანერგვაში. საქართველოში პროექტის ფოკუს ცენტრი (Focal Point) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაა.

ITU-ს მიერ Big Data-ს პროექტში საქართველოს შერჩევა კიდევ ერთხელ ადასურებს იმ ფაქტს, რომ მონაცემთა შეგროვების და დამუშავების კუთხით საქართველო ITU-ს წევრ 193 ქვეყანას შორის ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნადაა მიჩნეული. აღნიშნული საშუალებას მისცემს საქართველოს გადავიდეს ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის ახალ ტექნოლოგიურ ეტაპზე.

<sup>7</sup> ქვეყნების რეიტინგი ICT განვითარების მახედვით, რომელსაც ITU ყოველწლიურად აქვეყნებს

## საქართველოსა და ლიტვას შორის საერთაშორისო როუმინგული მომსახურების თაობაზე ურთიერთგაბების მემორანდუმი

2016 წლის 16 მარტს კომისიასა და ლიტვის რესპუბლიკის კომუნიკაციების მარეგულირებელ ორგანოს შორის მომდევნო ერთი წლით თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. დოკუმენტი ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს.

თანამშრომლობის ფარგლებში, 2016 წლის 20 სექტემბერს კომისიის თავმჯდომარემ, ვახტანგ აბაშიძემ, ლიტვის კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარემ, ფელიქსას დობროვოლსკისმა და ასევე საქართველოსა და ლიტვის მობილური ოპერატორების წარმომადგენლებმა („მაგთიკომი“, „ჭეოსელი“, „მობიტელი“, „Bite“, „Omnitel“, „Tele2“) საქართველოსა და ლიტვას შორის საერთაშორისო როუმინგული მოშსახურების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობა გულისხმობს ლიტვას და საქართველოს შორის როუმინგული მომსახურების (ხმოვანი მომსახურება, SMS, ინტერნეტი) ტარიფების თანდათანობით შემცირებას, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №531/2012 რეგულაციის შესაბამისად.

მემორანდუმის შედეგად „მაგთიკომი“ თავის მომხმარებლებს ლიტვაში მოგზაურობის დროს კომპანიების „Bite“-ს და „Omnitel“-ის ქსელში, ხოლო „მობიტელი“ კომპანია „Tele2“-ის ქსელში ჩართვის შემთხვევაში უკვე სთავაზობენ ფასდაკლებულ ტარიფებს ხმოვან მომსახურებაზე წამობრივი დამრგვალებით, „მაგთიკომის“ შემთხვევაში, ასევე, მომსახურების საფასურის დროის რეალურ რეჟიმში დარიცხვით. შემცირებული ტარიფები ვრცელდება მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისით სარგებლობაზეც. რაც შეეხება კომპანია „ჭეოსელს“, მან დაასრულა მოლაპარაკებები ლიტვის ოპერატორებთან და 2017 წლიდან გეგმავს ტარიფების ეტაპობრივ შემცირებას.

საქართველოსა და ლიტვას შორის საერთაშორისო როუმინგული მომსახურების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება არის პირველი ნაბიჯი ევროპის კავშირის ქვეყნების საერთაშორისო როუმინგის ერთიან სივრცეში საქართველოს გაერთიანებისაკენ. კომისია ამ მიმართულებით მოლაპარაკებებს აწარმოებს ევროპის კავშირის სხვა ქვეყნებთანაც.

## პოლონეთის დამარების პროექტი

2016 წლის მეორე ნახევარში (ივნისი-დეკემბერი) პოლონეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისმა (UKE) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის ე.წ. დახმარების პროექტი განახორციელა, რომლის მიზანი კომისიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება იყო. პროექტის ინიციატორი და სპონსორი პოლონეთის მთავრობა იყო.

დახმარების პროექტის ფარგლებში ჩატარდა ერთი პრაქტიკული და ორი სასწავლო ვიზიტი პოლონეთში, ასევე სამუშაო შეხვედრა საქართველოში. UKE-ს წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის შემდეგ თემებზე:

- კონკურენციის ხელშეწყობა
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ელექტრონულ საკომუნიკაციო სერვისებთან დაშვების უზრუნველყოფა
- ღია დაშვების პრინციპი
- აუქციონების გამართვის ელექტრონული სისტემა
- სიხშირეთა მართვა
- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების ფასების გაანგარიშება

## თანამშრომლობა საზელეკომუნიკაციო სტანდარტების ევროპულ ინსტიტუტთან (ETSI)

2016 წელს კომისიამ სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ევროპულ ინსტიტუტთან (ETSI) გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 37 ევროპული სტანდარტის პროექტების განხილვასა და დამტკიცებაში. აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ კომისიის ხელშეწყობით ETSI-ს მიერ დამტკიცებული 37 სტანდარტი საქართველოში ეროვნულ სტანდარტებად დარეგისტრირდა.

29-30 ნოემბერს, კომისიამ მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში, სოფია ანტიპოლისში გამართულ ETSI-ს 68-ე გენერალურ ასამბლეაში, ხოლო 1 დეკემბერს ETSI-ს ნაციონალური სტანდარტების ორგანოების სამუშაო შეხვედრაში.

## თანამშრომლობა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტი (ICANN/GAC)

2016 წელს კომისიამ მონაწილეობა მიიღო მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის (ICANN/GAC) 55-ე (მაროკო, ქ. მარაქეში, 5-10 მარტი), 56-ე (ფინეთი, ქ. ჰაველსინკი, 27-30 ივნისი) და 57-ე (ინდოეთი, ქ. ჰაიდერაბადი, 3-9 ნოემბერი) საერთაშორისო შეხვედრებში.

55-ე შეხვედაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ზოგადი ტიპის გედა დონის დომენებად<sup>8</sup> გეოგრაფიული სახელების (ქვეყნები, რეგიონები, ქალაქები, მდინარეები და ა.შ.) დარეგისტრირებისა და მათი დაცვის საკითხებზე იმუშავებს. კომისია როგორც ICANN/GAC-ის წევრი გაერთიანდა ამ ჯგუფში.

2016 წელს კომისიამ სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფარგლებში საგარეო საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან შეთანხმებით შეადგინა იმ გეოგრაფიული სახელების ჩამონათვალი, რომელიც უნდა დარეგისტრირდეს ზოგადი ტიპის გედა დონის დომენებად და რომლის გაცემის უფლება მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით უნდა მოხდეს.

აღსანიშნავია, რომ ICANN/GAC-ის 57-ე საერთაშორისო შეხვედრაზე ICANN-ის გლობალური დომენების კომიტეტმა (Global Domains Division) სპეციალური სესია მიუძღვნა ქართულენოვან დომენს და ქართული ენის უნიკალურობის საკითხს, ხოლო ინტერნეტ სივრცის მრავალენოვნების ხელშეწყობისათვის კომისიას მადლობის სერტიფიკატი გადაეცა.

<sup>8</sup> გედა ტიპის გედა დონის დომენი არის თემატური დომენი, რომელიც წინ უძღვის ქვეყნის გედა დონის დომენს, მაგალითად, .gov, .edu, .info და ა.შ.

## სხვა საერთაშორისო პროტოკოლი

ზემოთ აღნიშნულის გარდა, 2016 წელს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში კომისიამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა შეხვედრასა თუ ღონისძიებაში, მაში შორის:

- ფოსტის და ტელეკომუნიკაციების აღმინისტრაციების (CEPT) WG FM-ის შემსწავლელი ჯგუფის შეხვედრები (რუმინეთი, ქ.კლუჟი, 1-5 თებერვალი / ფინეთი, ქ.პელსინკი, 23-27 მაისი / საფრანგეთი, ქ.ბორდო, 17-22 ოქტომბერი)
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების (EaPeReg) ქსელის სიხშირული სპექტრის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფების მე-2 (ლატვია, ქ. რიგა, 16-17 მარტი) და მე-3 (უკრაინა, ქ. კიევი, 10-13 ოქტომბერი) შეხვედრები
- მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) რიგით 43-ე (ესპანეთი, ქ. ბარსელონა, 25 მაისი) და 44-ე შეხვედრები (სომხეთი, ქ.ერევანი, 19 ოქტომბერი) 43-ე შეხვედრის ფარგლებში კომისია იყო სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი თემაზე - მედია კრიზისულ სიტუაციებში
- შეხვედრა გერმანიის ელექტრონულების, გაბის, ტელეკომუნიკაციების, ფოსტისა და რკინიგზის ფედერალურ სააგენტოსთან (გერმანია, ქ. მაინცი, 14-15 ივნისი)
- შეხვედრა ჩეხეთის ტელეკომუნიკაციების ოფისთან (ჩეხეთი, ქ. პრაღა, 16-17 ივნისი)
- შეხვედრა ჩეხეთის ტელეკომუნიკაციების ოფისთან (ჩეხეთი, ქ. პრაღა, 16-17 ივნისი)
- შეხვედრა ბაზების რეგულირება, საბიურო ფართობოლოვან ინფრასტრუქტურასთან დამკავშირების რეგულირება, მობილური და ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების ხარისხის მონიტორინგი, რადიოსიხშირული სპექტრის განაწილება, ლიცენზიების საფასურის გაანგარიშების მეთოდები
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების (EaPeReg) ქსელის როუმინგის ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა (ლიტვა, ქ. ვილნიუსი, 4-5 ივლისი)
- Internet Engineering Task Force 96 შეხვედრა (გერმანია, ქ. ბერლინი, 17-22 ივლისი)
- შეხვედრა მოიცავდა წამყვანი ექსპერტების სემინარებს მსოფლიოში ინტერნეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით
- შავი ზღვის აუზის მარეგულირებელი ორგანოების ფორუმის (BRAF) შეხვედრა (მოლდოვა, ქ. კიშინოვი, 8-9 სექტემბერი)
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების (EaPeReg) ქსელის შედარებითი ანალიზის (ბენემარკინგის) სამუშაო ჯგუფის<sup>9</sup> მეორე შეხვედრა (უკრაინა, ქ. კიევი, 10-13 ოქტომბერი)
- სემინარი თემაზე მომსახურების ხარისხის კონტროლი მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით (უკრაინა, ქ. კიევი, 12-13 ოქტომბერი)
- სემინარზე მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივმა დამცველმა თამთა ტეფნაძემ პრეზენტაცია წარადგინა მისი საქმიანობის შესახებ
- ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM) თემაზე ევროკომისიის მიერ ორგანიზებული შეხვერდა და ციფრული საზოგადოების ფორმირებასთან დაკავშირებულ მინისტერიალი (ბელგია, ქ.ბრიუსელი, 17-18 ოქტომბერი)

<sup>9</sup> შედარებითი ანალიზის (ბენემარკინგი) თემაზე შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც კომისიის წარმომადგენლებიც შედიან, 2016 წელს ორი ანგარიში მოაშადა. ბენემარკინგის ანგარიში მოცავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კომუნიკაციების ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არსებული მდგრამარტობის შედარებით ანალიზს, ხოლო რეგულირების ანგარიშში ასახულია, თუ როგორ რეგულირდება ტელეკომუნიკაციების დარცვა აღნიშნულ ქვეყნებში

# მომსმარებელთა უფლებების დაცვა



ესაზორისობის მიზანი არის განვითაროს სა, მუსიკოსოლისტის  
ღიაბრძეს სივრცის დაგენერირება

მომსმარებელთა  
უფლებების დაცვა

სახელმწიფო

სამუშაოს მიზანი  
დაგენერირება

სახელმწიფო

მომსმარებელთა  
უფლებების დაცვა

კომიტეტი

2016 წელს კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში სულ 208 საჩივარი შევიდა, აქედან 127 წერილობითი, ხოლო 81 - სატელეფონო საჩივარი. 2 საჩივარი მაუწყებლობის სფეროს ეხებოდა, 197 - ელექტრონული კომუნიკაციების, ხოლო 9 საჩივარი -სხვა საკითხებს.

## 2016 წლის საჩივრების სტატისტიკა თემატიკის და რეაგირების სტატუსის მიხედვით

თემატიკა	დაკმაყოფილდა	ნაცილობრივ დაკმაყოფილდა/ მიეცა განმარტება	დარღვევა არ დადასტურდა/ არ დაკმაყოფილდა/შეცყლა განხილვა	ჯამი
მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება	36	2	3	41
სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე	10	14	9	33
უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	16	7	5	28
სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების დაყოვნება/ დაუკმაყოფილებლობა	10	5	2	17
სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეწყვეტა	7	3	1	11
ციფრული მაუწყებლობა	8	4	0	12
პორტირება	4	5	0	9
სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება	3	1	1	3
მედიის მავნე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე	1	1	1	3
სატელეკომუნიკაციო ანძებისგან გამოწვეული რადიაცია	1	2	0	3
სააბონენტო ნომრების გასხვისება	1	0	1	2
სპამი	1	1	0	2
ინტერნეტ მომსახურებაზე ფასის ზრდა	0	4	0	4
სხვა	30	13	3	46
ჯამი	128	62	28	218

\*საჩივრების საერთო რაოდენობა და თემატიკის მიხედვით გადანაწილებული საჩივრების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ზოგიერთი საჩივარი ერთდროულად რამდენიმე საკითხს ეხებოდა

## 2016 წლის საჩივრების სტატისტიკა თემატიკის და კომპანიების მიხედვით

თემატიკა	სილაცია	მაგთიკომი	ჩაოსელი	სფერო +	პასუხისმგებელი	მობიტები (ბილაინ)	სხვა
სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე	3	9	9		2	3	
უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	12		1	6	2		3
სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების დაყოვნება/დაუკმაყოფილებლობა სააბონენტო ნომრების გასხვისება	10		1		2		2
ინტერნეტ მომსახურებაზე ფასის ზრდა		1					
მომხმარებლების არასათანადო ინფორმირება	1	1	3			2	
ციფრული მაუწყებლობა მედიის მავნე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე		1			4		
სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება			1			1	
პორტირება	3	2	1		1	1	
სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეწყვეტა	8						2
სხვა	4	4	3			1	

\*სხვა - გლობალ ტვ, იმერ ტვ, კი ენ ენ, აი თი დი სი

## მოხმარებელთა ინფორმირების სისტემის დანერგვა

კომისიის 2016 წლის 27 ოქტომბრის №705/22 გადაწყვეტილებით კომპანია „ჭეოსელს“ დაევალა ეფექტუანი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა გაფრთხილებას ინდივიდუალური შეცყობინებით მათ მიერ შეძენილი მომსახურების მოცულობის ამოწურვისა და განსხვავებულ ტარიფზე გადასვლის შესახებ, მიუხედავად მომხმარებლებისთვის შეთავაზებული შემდგომი თუ წინასწარი გადახდის პირობისა. 2015 წელს ანალოგური ვალდებულება კომპანია „მაგთიკომს“ დაეკისრა.

მობილური ოპერატორებისთვის შეცყობინების სისტემის დანერგვის დავალდებულებით მოხმარებლები დაცულები იქნებიან სადაო დავალიანების დარიცხვისგან.

ელექტრონული არაბრუნებული გადახდის საშუალების სახით მომხმარებელს  
ლიკვიდის საშუალების გადახდის საშუალების სახით მომხმარებელს

მომხმარებელის საშუალების სახით მომხმარებელს

სახლში მომხმარებელის საშუალების სახით მომხმარებელს

მომხმარებელის საშუალების სახით მომხმარებელს

მარკეტის საშუალების სახით მომხმარებელის საშუალების სახით მომხმარებელის

კომისია


# ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის დარგების განვითარების ტენდენციების მიმღებლვა




## გოგადი მიმოხილვა

2016 წელს კომუნიკაციების სექტორში მოქმედი პირების შემოსავალმა 1,260 მლნ ლარი (დღგ-ს და აქციზის გარეშე) შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 1.1%-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან ქვეყანაში კომუნიკაციების სექტორიდან მიღებული შემოსავალი 8რდის ტენდენციით ხასიათდება. 2016 წელს ელექტრონული კომუნიკაციებიდან მიღებულმა შემოსავალმა 1,094 მლნ ლარი, მაუწყებლობიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 108 მლნ ლარი შეადგინა. რეგულირებას დაქვემდებარებული პირების მიერ მიღებული არასაკომუნიკაციო შემოსავლის ოდენობა 57 მლნ იყო (სატელეკომუნიკაციო ტექნიკის იჯარა, რეალიზება და ა.შ).

სულ კომუნიკაციების სექტორიდან მიღებული  
შემოსავალი (მლნ ლარი)



კომუნიკაციების სექტორიდან მიღებული  
შემოსავალი სახელმისამართი (მლნ ლარი)



## შენატანები სახელმწიფო პირები

2016 წელს მაუწყებლების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების<sup>10</sup> სახით გადახდილმა თანხამ 29,229,883.58 ლარი შეადგინა, ხოლო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ შეტანილმა თანხამ - 263,317,299.73 ლარი. ჯამში კომუნიკაციების დარგიდან სხვადასხვა გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 292,547,183.31 ლარი შევიდა.

რაც შეეხება ლიცენზირებიდან<sup>11</sup> მიღებულ შემოსავალს, სახელმწიფო ბიუჯეტში 2016 წელს კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა 172,874,653.48 ლარს შეადგენდა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის კი - 17,000 ლარს.

სულ 2016 წელს კომუნიკაციების სფეროდან სახელმწიფო ბიუჯეტში 465,438,836.79 ლარი შევიდა.

<sup>10</sup> საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი, სხვა, ქონების გადასახადი, მიწა (სასოფლო-არასასოფლო)

<sup>11</sup> მოსაკრებელი კერძო და სათემო მაუწყებლობის ლიცენზირებიდან - 241,892.38, შემოსულობა რადიოსისტრული სპექტრის სარგებლობის ლიცენზიიდან - 171,650,557.16, მოსაკრებელი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზირებიდან - 5 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული სანებართო მოსაკრებელი - 982,198.94 ლარი

## რეგულირებას დაქვემდებარებული მოქმედი პირები



2016 წელს ელექტრონული კომუნიკაციების დარგში 327 მოქმედი<sup>12</sup> პირი დაფიქსირდა. მოქმედი პირების კატეგორიების განხასაზღვრად, ტრადიციულად განვიხილავთ შემდეგ სეგმენტებს:

კატეგორია	შლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ელექტრონული კომუნიკაციების დარგში 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 4-მა პირმა მიიღო (A კატეგორიის კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 73.3%-ს შეადგენდა, იმ პირების ჯამური შემოსავალი კი, ვინც 2016 წელს 100,000 ლარზე ნაკლები შემოსავალი მიიღო (E კატეგორიის 197 პირი) მთელი შემოსავლების 0.7%-ს შეადგენდა.

ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა რაოდენობა სეგმენტების მიხედვით

ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა შემოსავლის განაწილება სეგმენტების მიხედვით



<sup>12</sup> მოქმედად განვიხილავთ პირს, რომელსაც წლის განმავლობაში ელექტრონული კომუნიკაციებიდან/მაუწყებლობიდან რამე სახის შემოსავალი ჰქონდა

ქვემოთ მოგვყავს ელექტრონული კომუნიკაციების დარგში A, B და C კატეგორიის ოპერატორების ჩამონათვალი შესაბამისი შემოსავლების მითითებით. აღსანიშნავია, რომ ქვემოთ მოყვანილი 24 კომპანიის შემოსავლების წილი დარგის მთლიანი შემოსავლების 96.2%-ს შეადგენს.

## ელექტრონული კომუნიკაციების დარგიდან A, B და C კატეგორიის პირების მიერ მიღებული შემოსავლები<sup>13</sup> 2016 წელს (მლნ ლარი)


№	კომპანია	2015	2016	ზრდა/კლება
1	მაგთიკომი	279.6	321.8	15.1%
2	ჯეოსელი	206.1	206.9	0.4%
3	სილქეტი	158.5	162.3	2.4%
4	მობიტელი	129.2	111.4	-13.8%
5	კავკასუს ონლაინი	101.4	82.0	-19.1%
6	ახალი ქსელები და მასთან აფილირებული პირები <sup>14</sup>	72.3	69.2	-4.3%
7	დელტა-ნეტი და მასთან აფილირებული პირები <sup>15</sup>	17.0	21.0	23.5%
8	გლობალ ერთი	16.3	14.8	-9.2%
9	სუპერ ტვ	8.1	8.9	9.9%
10	მაიფონი	7.1	7.3	2.8%
11	რკინიგზის ტელეკომი	5.0	6.0	20.0%
12	გლობალ კონტაქტ კონსალტინგი	3.3	5.2	57.6%
13	სტერეო +	2.2	4.6	109.1%
14	Premium Net International SLR-ის ფილიალი საქართველოში	7.5	4.5	-40.0%
15	ნიუ ვიუენ	2.0	3.7	85.0%
16	ჯეონეთი	2.9	3.7	27.6%
17	ლაგი	2.0	3.5	75.0%
18	საქართველოს ტელერადიოცენტრი	1.5	3.2	113.3%
19	კტვ 1	2.2	3.0	36.4%
20	ალექს დეველოპმენტ ჯორჯია	5.3	2.6	-50.9%
21	TV ERA	2.1	2.3	9.5%
22	ჯოდო ტელეკომუნიკაციების	3.3	1.9	-42.4%
23	ეკვანტ ჯორჯია	1.5	1.8	20.0%
24	ო ენდ ემ ჯგუფი	0.0	1.1	

2016 წელს მაუწყებლობის დარგში 99 მოქმედი პირი დაფიქსირდა. მაუწყებლობიდან 10 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 2-მა პირმა მიღლო (B კატეგორიის კომპანიები) და მათ მიღებული კამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 62.8%-ს შეადგენდა, იმ პირების კამური შემოსავალი კი, ვინც 2016 წელს 100,000 ლარზე ნაკლები შემოსავალი მიღლო (E კატეგორიის 52 პირი) მთელი შემოსავლების 1.4%-ს შეადგენდა.


13 მიღებული შემოსავალი დღგ-ს და აქციზის გარეშე

14 ახალი ქსელები, სისტემ ნეტი, ახტელი, საქართველოს ცენტრალური კავშირგაბშელობის კორპორაცია, ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს, პელიკომი, ბოლნისის ახალი ქსელები, ივერია ქსელი, ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოსტეტი 15 ა-ნეტი, დელტა კომმი, დელტა-ნეტი

## მოქად მაუწყებელთა რაოდენობა სეგმენტების მიხედვით



## მოქად მაუწყებელთა შემოსავლის განაწილება სეგმენტების მიხედვით



## მაუწყებლობის დარგიდან B და C კატეგორიის პირების მიერ მიღებული შემოსავლები<sup>16</sup> 2016 წელს (მლნ ლარი)


№	კომპანია	2015	2016	ზრდა/კლება
1	სამუწყებლო კომპანია რუსთავი 2	38.0	41.8	10.0%
2	ტელეიმედი	25.0	26.3	5.2%
3	საქართველოს მედია ქსელი	6.4	6.5	1.6%
4	სტუდია მაესტრო	5.1	5.5	7.8%
5	რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	5.2	5.1	-1.9%
6	ჯი-დი-ეს თე-ვი	1.9	2.9	52.6%
7	იბერია-TV	0.7	1.9	171.4%
8	არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი	1.1	1.7	54.5%
9	ტელეკომპანია პირველი	0.3	1.5	400.0%
10	რადიო იმედი	1.1	1.4	27.3%
11	კორტესი-გიდაგო	2.9	1.1	-62.1%

<sup>16</sup> მიღებული შემოსავლი დღვ-ს გარეშე


## მობილური კომუნიკაციები

საქართველოში მობილური აბონენტების<sup>17</sup> რაოდენობამ 2016 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 5.5 მლნ აბონენტი შეადგინა. 2015 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობამ 31 ათასი აბონენტით მოიკლო, მობილური აბონენტების სიმკვრივემ<sup>18</sup> კი 148% შეადგინა.

აბონენტის რაოდენობა (მლნ ლარი)




სასაბონენტო სიმკვრივე




2016 წლის ბოლოს მაგთიკომის საბაზრო წილმა მობილური აბონენტების რაოდენობის მიხედვით 39.2% შეადგინა, ჯეოსელის - 35.1%, მობიტელის - 25.3%, სილქენეტის კი 0.4%.

ბაზრის წილები აბონენტების რაოდენობის მიხედვით



საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 2016 წელს 418 მლნ ლარი იყო, რაც 2015 წელს მიღებულ საცალო შემოსავალზე 2.7%-ით (11.1 მლნ ლარით) მეტია.

საცალო შემოსავლების თვალსაზრისით, მაგთიკომის საბაზრო წილი 45.8%-ს შეადგენდა, ჯეოსელის - 36.8%, მობიტელის - 17.0%, სილქენეტის კი 0.3%.



<sup>17</sup> აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან მიღებულ იქნა ხმოვანი გარი, SMS, MMS, გაწული იქნა ინტერნეტით ან სხვა დამატებითი მომსახურება, ან დაირიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩატვლით და სატესტო ბარათების ჩატვლებად)

<sup>18</sup> აბონენტების რაოდენობა გაყოფილ ქვეყნის მოსახლეობაზე. 2015 წელს სააბონენტო სიმკვრივის მკვეთრი ზრდა განპირობებულია 2014 წლის აღწერის შედეგებით. კერძოდ, 2014 წლის აღწერის მონცემებით, საქართველოს მოსახლეობამ 3.7 მლნ შეადგინა, წინა წლებში კი მოსახლეობის ოფიციალური რაოდენობა 4.4-4.5 მლნ-ს შეარს შერყეობდა.





## ბაზრის წილები საცალო შემოსავლის მიხედვით

თვის განმავლობაში აბონენტისგან მიღებულმა საშუალო შემოსავალმა (ARPU – Average Revenue per User, დღგ-ს და აქციზის ჩაუთვლელად) 2016 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 6.46 ლარი შეადგინა. 2015 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, იგი 35 თეთრით გაიზარდა (5.8%-ით). აღსანიშნავია, რომ 2016 წელს მაგთიკომის და ფიქსური ARPU გაიზარდა, მობიტელის და სილქნეების კი შემცირდა.




2016 წელს ჯამურმა გამავალმა ხმოვანმა ტრაფიკმა 10.3 მლრდ. წუთი შეადგინა. 2015 წელთან შედარებით, ტრაფიკი 9.4%-ით გაიზარდა (885 მლნ. წუთით). შესაბამისად გაიზარდა (MOU)<sup>19</sup>- თუ 2015 წლის მეოთხე კვარტალში იგი 142 წუთს შეადგენდა, 2016 წლის მეოთხე კვარტალში მან 157 წუთი შეადგინა.



<sup>19</sup> MOU – Minutes of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (იგულისხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა. გამოითვლება შემდეგნაირად: კვარტალში ჯამურად ნასაუბრები წუთები გაყოფილი კვარტალში აბონენტების რაოდენობაზე და გაყოფილი 3-ტე.

მობილური ოპერატორების გამავალი ტრაფიკის უდიდეს ნაწილს - 70.7%-ს - საკუთარ მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები შეადგენს. მას მოსდევს სხვა ოპერატორის მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები - 25.7%. ფიქსირებულ ქსელზე დასრულებული ზარების წილი 2.4%-ია, საერთაშორისო ზარების - 0.8%. ყველა დანარჩენი ზარების წილმა სულ (ინტერაქტიული, ცხელ ხაზზე განხორციელებული უფასო ზარები) 0.4% შეადგინა.


### გამავალი ტრაფიკის განაწილება მიმართულებების მიხედვით



2016 წლის მეოთხე კვარტალში ინტერნეტმომსახურებით აბონენტების 44.9%-მა ისარგებლა (2.48 მლნ აბონენტმა). მოხმარებული ინტერნეტტრაფიკის ოდენობა მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2016 წლს მან 33,537 ტერაბაიტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 130.4%-ით აღემატება. ალნიშნული, ცხადია, დიდწილად მეოთხე თაობის მობილური ტექნოლოგიების (LTE) მზარდი მოხმარებითაა განპირობებული.

გაიზარდა საშუალოდ ერთი მომხმარებლის მიერ მოხმარებული ინტერნეტტრაფიკის ოდენობა. თუ 2015 წლის ბოლოს იგი 738 მბ-ს შეადგენდა, 2016 წლის ბოლოს ამ მაჩვენებელმა 1,362 მბ შეადგინა (84.5%-ით მეტი).


### მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა (მლნ)




### მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა ცილი აბონენტთა საერთო რაოდენობაში



**მობილური ინტერნეტით განვირობებული  
ტრაფიკი (ტერაბაიტი)**




**ინტერნეტის მომხმარებლის მიერ გენერირებული  
საშუალო ტრაფიკი თვეში (მბ)**




2016 წელს მობილური ინტერნეტის ტრაფიკის მხოლოდ 3.8%-ს შეადგენდა 2G ტრაფიკი. 3G ტრაფიკის წილმა 58.5% შეადგინა, 4G ტრაფიკის წილმა კი 37.7%. 2016 წელს ტექნოლოგიების და ოპერატორების მიხედვით ტრაფიკების განაწილება ქვემოთ მოყვანილ გრაფიკებზეა მოცემული:


**მობილური ინტერნეტ-ტრაფიკის განაწილება  
ტექნოლოგიების მიხედვით**




**2G ინტერნეტ-ტრაფიკის განაწილება**



**3G ინტერნეტ-ტრაფიკის განაწილება**




**4G ინტერნეტ-ტრაფიკის განაწილება**



აღსანიშნავია, რომ 2016 წელს მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ზრდა უმთავრესად 4G-ს ხარჯების მოხდა, რომლის მოცულობაც წლის განმავლობაში გაოთხმავდა: თუ მან 2016 წლის იანვარში 434 ტერაბაიტი შეადგინა, 2016 წლის დეკემბერში მისი ოდენობა 1669 ტერაბაიტი გახდა და პრაქტიკულად 3G ტრაფიკს გაუტოლდა.

#### მობილური ინტერნეტის ტრაფიკის განაწილება მოცულობის მიხედვით (ტერაბაიტი)




2016 წელს მობილური ოპერატორების ქსელში 79 ათასი ნომრის პორტირება განხორციელდა (2015 წელს 77 ათასი პორტირება განხორციელდა). ყველაზე მეტი პორტირება მაგთიკომის ქსელში განხორციელდა - 43 ათასი, მას მოსდევს ჭეოსელი - 26 ათასი და მობიტელი - 10 ათასი ნომერი.

#### სულ კორტირებული მობილური ნომრების რაოდენობა (ათასი)




#### ოპერატორის ქსელში კორტირებული ნომრების რაოდენობა (ათასი)




2016 წელს მაგთიკომის ქსელში 20 ათასი აბონენტით მეტი დაპორტირდა ვიდრე მაგთიკომიდან გადავიდა. ჯეოსელის და მობიტელის ქსელში კი პირიქით - შესაბამისად 9 და 11 ათასი აბონენტით მეტი გადავიდა სხვა ქსელზე ვიდრე მათ ქსელში დაპორტირდა:


პორტირებით მიღებული და გადასული ნომრების რაოდენობა მაგთიკომი (ათასი)



პორტირებით მიღებული და გადასული ნომრების რაოდენობა ჩეოსელი (ათასი)




პორტირებით მიღებული და გადასული ნომრების რაოდენობა მობიტელი (ათასი)



საქართველოში ყველაზე მეტად Samsung-ის მიერ წარმოებული მობილური აპარატებია გავრცელებული (28.1%), მას მოსდევს Microsoft/Nokia (25.1%), Apple (9.2%), HUAWEI (7.7%), Lenovo (4.8%), Quectel (3.4%), TCT (2.5%), Sony/Ericsson (2.4%), LG (1.7%), HTC (1.5%). დანარჩენ მწარმოებლებს ჯამში ბაზრის 13.6% უჭირავთ.

მობილური აპარატების განაწილება  
მობილური მობილური მოხაზულობები




- 28.1% - Samsung
- 25.1% - Microsoft / Nokia
- 9.2% - Apple
- 7.7% - Huawei
- 4.8% - Lenovo
- 3.4% - Quectel
- 2.5% - TCT
- 2.4% - Sony / Ericsson
- 1.7% - LG
- 1.5% - HTC
- 13.6% - სხვა


## ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე გამოიყენებოდა როგორც სადენიანი, ისე უსადენო (CDMA) და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიები. 2016 წელს ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე სულ 32 კომპანია ოპერირებდა. ფიქსირებულ სადენიან ტექნოლოგიას 13 ავტორიზებული პირი იყენებდა, უსადენოს – 4, VoIP-ს კი 24<sup>20</sup>.

ოპერატორების რაოდენობა



აბონენტების რაოდენობა (ათასი)




საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 2016 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 831 ათასი აბონენტი შეადგინა. 2015 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 12.5%-ით (119 ათასი აბონენტით) შემცირდა. ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების (შესაბამისად, შემოსავლებისა და ტრაფიკის) შემცირება მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად მობილური კომუნიკაციებით ფიქსირებული ტელეფონის ჩანაცვლებით არის განპირობებული.


ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების სიმკვრივემ მოსახლეობაზე<sup>21</sup> 22%, ხოლო შინამეურნეობებზე 75%<sup>22</sup> შეადგინა.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ჯამური საცალო შემოსავალი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2016 წელს საცალო შემოსავალმა სულ 50.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 11.9%-ით ნაკლებია (6.8 მლნ ლარით).

სააბონენტო სიმკვრივე



აბონენტების რაოდენობა (ათასი)



20 ზოგიერთი კომპანია ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიას იყენებს. შესაბამისად, ტექნოლოგიების მიხედვით ოპერატორთა რაოდენობის ჯამი არ უდრის სულ მოქმედი ოპერატორების ჯამს

21 ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობის შეფარდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე


22 ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობის შეფარდებულია ქვეყანიში შინამეურნეობების რაოდენობაზე

ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების აბონენტთა რაოდენობამ 2016 წლის ბოლოს 483 ათასი აბონენტი შეადგინა, რაც 2015 წლის ბოლოსთან შედარებით 6.0%-ით ნაკლებია. 2010-2016 წლებში ფიქსირებული სადენიანი ტელეფონის შემოსავლები მცირდებოდა. 2016 წელს საცალო შემოსავალმა სულ 34.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 12.5%-ით ნაკლებია (4.9 მლნ. ლარით).

CDMA აბონენტების რაოდენობა 2012 წლიდან მკვეთრად მცირდება. თუ 2011 წლის ბოლოს 734 ათასი CDMA აბონენტი ფიქსირდებოდა, 2016 წლის ბოლოს ამ მაჩვენებელმა 293 ათასი აბონენტი შეადგინა. 2016 წელს შემცირდა შესაბამისი საცალო შემოსავალიც. თუ 2015 წელს CDMA ტელეფონის საცალო შემოსავალი 11.5 მლნ ლარს შეადგენდა, 2016 წელს მან 8.5 მლნ ლარი შეადგინა (26.2%-ით ნაკლები).

VoIP აბონენტების რაოდენობა 2016 წელს უმნიშვნელოდ გაიზარდა და სულ 54.6 ათასი VoIP აბონენტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.2%-ით მეტია. 2016 წელს გაიზარდა VoIP ტელეფონის საცალო შემოსავალი და 7.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 19.9%-ით (1.2 მლნ ლარით) მეტია.

#### საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




#### საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკი 2015 წელს შემცირდა. თუ 2015 წელს იგი 1.34 მლრდ. წუთს შეადგენდა, 2016 წელს მან 1.12 მლრდ შეადგინა (16.7%-ით ნაკლები).

#### გამავალი წეთები (მლნ)



#### გამავალი წეთები (მლნ)




ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების გამავალმა ტრაფიკმა 2016 წელს 719 მლნ წთ. შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 19.9%-ით ნაკლებია (178.5 მლნ წუთით). ასევე მოიკლო CDMA ტელეფონიის გამავალმა ტრაფიკმა: თუ 2015 წელს მან 344 მლნ წუთი შეადგინა, 2016 წელს იგი 305 მლნ წუთი იყო (11.4%-ით ნაკლები).


მცირედ შემცირდა VoIP ტელეფონიის გამავალი ტრაფიკი. 2016 წელს მან სულ 82.8 მლნ წუთი შეადგინა (2015 წელს - 85.5 მლნ წთ).

ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების ბაზრის ძირითადი მოთამაშეები არიან: სილქნეტი, ახალი ქსელები და ახტელი. საქართველოს მასშტაბით, სილქნეტი აბონენტების 63.8%-ს ფლობს, ახალი ქსელები - 19.6%-ს, ახტელი - 11.2%-ს სხვა დანარჩენი ოპერატორები კი ჯამში 5.5%-ს ფლობენ. ოპერატორების აბონენტთა რაოდენობა და, შესაბამისად, საბაზრო წილები, სტაბილურია. აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი ქსელები და ახტელი ურთიერთდამოკიდებული აფილირებული პირები არიან.

სადენიანი აბონენტების განაწილება




უსადენო აბონენტების განაწილება




უსადენო ფიქსირებული ტელეფონიის (CDMA) ბაზარზე ოთხი ოპერატორია წარმოდგენილი: მაგთიკომი, სილქნეტი, ბოლნისის ახალი ქსელები და ქართული სატელეფონო კომპანია ჭტს (GTC). მაგთიკომი, აბონენტების რაოდენობის თვალსაზრისით, ბაზრის 89.0%- ფლობს, სილქნეტი - 10.9%-ს, ბოლნისის ახალ ქსელებს და GTC-ს კი სულ 247 აბონენტი ჰყავდათ (0.1%).

VoIP ტელეფონიის ბაზარზე სულ 24 კომპანია ოპერირებს. მათ შორის ყველაზე მეტი აბონენტი სილქნეტს ჰყავს. იგი ბაზრის 55.3%-ს ფლობს. მას მოსდევს ჯეონეთი - 25.7%, კავკასუს ონლაინი - 12.5%. დანარჩენი ოპერატორების წილი ჯამში 6.6%-ს შეადგენს.




VoIP აბონენტების განაწილება



## ფიქსირებული ფართოზოლოვანი<sup>23</sup> მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 2016 წლის ბოლოს 699 ათასი აბონენტი შეადგინა. 2015 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 10.0%-ით (63.8 ათასი აბონენტით) გაიზარდა. ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების სიმკვრივე მოსახლეობაზე<sup>24</sup> 19%, ხოლო შინამეურნეობებზე<sup>25</sup> 63% შეადგინა.


აბონენტების რაოდენობა (ათასი)



სააპონენტო სიმკვრივე



საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურებიდან მიღებული საცალო შემოსავალი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2016 წელს საცალო შემოსავალმა 195.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 5.7%-ით (10.6 მლნ. ლარით) მეტია.

<sup>23</sup> ტექნოლოგია, რომელიც საშუალების იძლევა მონაცემთა გადაცემას განხორციელდეს 256 კბტ/წმ ან მეტი სიჩქარით

<sup>24</sup> ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების რაოდენობის შეფარდება მოსახლეობის რაოდენობაზე

<sup>25</sup> ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე

საქართველოში ფიქსირებული ფართობოლოვანი მომსახურების აბონენტების უმეტესი ნაწილი 2016 წელს ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიას იყენებდა (57.6%). შემდეგ ადგილზე იყო xDSL მომსახურება - 21.7%, WiFi – 15.7%, ფიქსირებული LTE – 4.8%. ყველა დანარჩენი სახის ტექნოლოგიებს (WiMax, Canopy, თანამგზავრი) ჯამში ფართობოლოვანი აბონენტების საერთო რაოდენობის 0.2% ეკავათ.




აბონენტების რაოდენობის განაწილება  
ტექნოლოგიების მიხედვით


- Fiber
- xDSL
- Wi-Fi
- LTE
- Sbbza

2016 წელს ფიქსირებულ ფართობოლოვან მომსახურებას სულ 188 პირი ეწეოდა, აქედან ოპტიკურ-ბოჭკოვან მომსახურებას - 55, xDSL მომსახურებას - 14, WiFi-ს - 161, ფიქსირებულ LTE-ს კი 1 ავტორიზებული პირი.

#### ოპერატორების რაოდენობა



#### აბონენტების რაოდენობა (ათასი)



ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობის ზრდის ტემპი სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით მაღალია. 2016 წლის ბოლოს 403 ათასი ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტი დაფიქსირდა, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 11.3%-ით (40.9 ათასი აბონენტით) მეტია.


xDSL ტექნოლოგიით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობამ 2016 წლის ბოლოს 152 ათასი აბონენტი შეადგინა. 2015 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 15.7%-ით (28 ათასი აბონენტით) შემცირდა.

WiFi ტექნოლოგიით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობამ 2016 წლის ბოლოს 110 ათასი აბონენტი შეადგინა, რაც 2015 წლის ბოლოსთან შედარებით 42.2%-ით (32.7 ათასი აბონენტით) მეტია.


ფიქსირებული LTE ტექნოლოგიის მომხმარებელ აბონენტთა რაოდენობამ 2016 წლის ბოლოს 33.8 ათასი აბონენტი შეადგინა, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 152%-ით მეტია.

2016 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურების აბონენტების 41.2%-ს მაგთიკომი ფლობდა, სილქნეტი - 31.7%-ს, ახალი ქსელები - 7.1%, დელტა-ნეტი - 7.0%, კავკასიის ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია (CGC) - 5.9%, ა-ნეტი - 2.4%, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 4.7%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ მაგთიკომი, დელტა-ნეტი და ა-ნეტი ურთიერთდამოკიდებული აფილირებული პირები არიან.


#### ოპტიკურ ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება



რაც შეეხბა xDSL ტექნოლოგიას, აბონენტების 83.3%-ს სილქნეტი ფლობდა, ახალი ქსელები - 9.4%-ს, ახტელი - 4.8%-ს, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 2.5%-ს შეადგენდა (ახალი ქსელები და ახტელი ურთიერთდამოკიდებული აფილირებული პირები არიან).



#### xDSL ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება




სხვა ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, WiFi ინტერნეტის მომსახურების ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მქონე გამოკვეთილი ოპერატორები არ არიან. ბაზარზე 161 მცირე კომპანია ოპერირებს, რომელთაგან ყველაზე დიდი ოპერატორის - „სქაიტელის“ საბაზრო წილი 8.4%-ს შეადგენს.

2016 წლის ბოლოს საქართველოში ყველაზე მეტი აბონენტი ისეთ პაკეტებს იყენებდა, რომელთა დეკლარირებული სიჩქარე 2 მგბტ/წმ-დან 10 მგბტ/წმ-დე შუალედში იყო. ასეთი პაკეტების წილი 44.5%-ს შეადგენდა. მას მოსდევდა 10-30 მგბტ/წმ შუალედში შეთავაზებული პაკეტები 37%-ით.


აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიების მიხედვით ყველაზე გავრცელებული პაკეტების სიჩქარეები განსხვავებულია, რაც ბუნებრივია. მაგალითად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი და ფიქსირებული LTE ტექნოლოგიის შემთხვევაში, პაკეტების უმეტესობის სიჩქარე 10-30 მგბტ/წმ შუალედშია (ოპტიკა - 57.5%, LTE - 64.4%), xDSL-ის და WiFi ტექნოლოგიების შემთხვევაში კი დეკლარირებული სიჩქარე ძირითადად 2-10 მგბტ/წმ შუალედში მერყეობს (xDSL – 94.6%, WiFi – 90.0%).

შინამეურნეობების 26.7%-ი 2-10 მგბტ/წმ სიჩქარის პაკეტით სარგებლობს, 22.9% კი 10-30 მგბტ/წმ სიჩქარის პაკეტით. დაბალია მაღალი (30 მგბტ/წმ და მეტი) სიჩქარის პაკეტების მოხმარება, რომელთაც ოკაზების მხოლოდ 9.3% მოიხმარს.

## აპონენტების გადანაწილება ტექნოლოგიებისა და სიჩქარის მიხედვით




## აპონენტების სიმავრივე სიჩქარის მიხედვით შინამეურნეობაზე




კორპორატიული აბონენტების წილი ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე 4.6%-ს შეადგენს, თუმცა აღნიშნული აბონენტები მთლიანი შემოსავლის 24.1%-ს აგენერირებენ.

კორპორატიული აბონენტების უმრავლესობა (65.7%) ოპტიკურ ბოჭკოვან ტექნოლოგიას იყენებს. კორპორატიული ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტების წილი 5.3%-ს შეადგენს, მათგან მიღებული შემოსავალი კი ოპტიკურ ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მიღებული შემოსავლის 29.8%-ს შეადგენს.

## კორპორატიული აბონენტების წილი



## კორპორატიული აბონენტების განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების უდიდესი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი (65.3%). კამპი საქართველოს ხუთ ქალაქში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში) ამ ტექნოლოგიის მომხმარებელთა 86.2%-ია თავმოყრილი, დანარჩენ საქართველოში კი სულ 13.8%.

xDSL ტექნოლოგიის მომხმარებელთა ყველაზე დიდი ნაწილი თბილისშია - 41.7%. მათი რაოდენობა ასევე მაღალია ქუთაისსა და ბათუმში (შესაბამისად 10.0% და 9.9%).


რაც შეეხება, Wi-Fi ტექნოლოგიის მომხმარებლებს, მათი 85.6% ზემოთ ხსენებულ 5 ქალაქს გარეთ ფიქსირდება.

## აბონენტების განაწილება ტექნოლოგიებისა და გეოგრაფიის მიხედვით



თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში 2016 წლის ბოლოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელთა რაოდენობა სჭარბობდა ყველა დანარჩენი ტექნოლოგიების მომხმარებელთა ჯამურ რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ რუსთავში ასეთი აბონენტების წილი 93.7%-ს, ფოთში კი 85%-ს შეადგინდა.


#### აბონენტების განაწილება ტექნოლოგიებისა და გეოგრაფიის მიხედვით




## მაუწყებლობის ტრანზიტი

2016 წლის მეოთხე კვარტალში მაუწყებლობის ტრანზიტის მიმღები 485 ათასი აბონენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.0%-ით (9.3 ათასი აბონენტით) მეტია. მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების სიმკვრივემ მოსახლეობაზე<sup>26</sup> 13.0%, ხოლო შინამეურნეობებზე<sup>27</sup> 43.8% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2011-2014 წლებში მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე 2015-2016 წლებში.

აბონენტების რაოდენობა (ათასი)




სააპონენტო სიმპვრივე




გაიზარდა მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებული საცალო შემოსავალის ოდენობაც - 2016 წელს მან 65.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14.7%-ით მეტია (8.4 მლნ ლარით მეტი).

2015 წლიდან ბაზარზე შეიმჩნევა მაუწყებლობის ტრანზიტის გამწევი ოპერატორების რაოდენობის შემცირების ტენდენცია. 2016 წელს ასეთი 59 ოპერატორი დაფიქსირდა, მაშინ როცა 2015 წელს ბაზარზე 70 ოპერატორი მოქმედებდა. შემცირება ძირითადად კოაქსიალური კაბელის გამოყენებით მიმწოდებელ ოპერატორებს შეეხოთ, რაც ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვით აიხსნება.

საცალო შემოსავალი (მლნ. ლარი)



ოპერატორების რაოდენობა




<sup>26</sup> მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანის მოსახლეობის რაოდენობაზე


<sup>27</sup> მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე

2016 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, საქართველოში მაუწყებლობის ტრანზიტის მისაწოდებლად ყველაზე ხშირად IPTV ტექნოლოგია გამოიყენებოდა. ამ ტექნოლოგით მოსარგებლე აბონენტების წილი 2016 წლის მეოთხე კვარტალში 39.9%-ს შეადგინდა. მას მოსდევდა თანამგზავრის გამოყენებით მიწოდებული მაუწყებლობის ტრანზიტი - 24.8%, რადიოსისშირით - 23.1%, კოქსიალური კაბელით - 10.9%, ინტერნეტ-ტელევიზიის მომხმარებელთა წილმა კი 1.2% შეადგინა.

#### აბონენტების რაოდენობის განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




#### საცალო შემოსავლების რაოდენობის განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




როგორც აღვნიშნეთ, IPTV ტექნოლოგიის მომხმარებელთა წილი 39.9%-ს შეადგინდა, შესაბამისი საცალო შემოსავლის წილი 56.3% იყო, რაც IPTV მომსახურების შედარებით მაღალი ფასით აიხსნება.

2016 წელს IPTV მომსახურების მიმღებ აბონენტთა რაოდენობა 32.2 ათასით გაიზარდა (19.9%-ით), შემოსავალი კი 6.2 მლნ ლარით (20.1%-ით). IPTV მომსახურებას 2016 წლის ბოლო კვარტალში ძირითად ორი ოპერატორი - სილქნეტი (69.1%) და მაგთიკომი (30.7%) აწვდიდა.


#### აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




#### საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)



## IPTV აბონენტების განაწილება




## რადიოსისშირული აბონენტების განაწილება




2016 წელს 6.7%-ით შემცირდა რადიოსისშირული ტექნოლოგიის გამოყენებით მოსარგებლე მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტთა რაოდენობა და 112.2 ათასი შეადგინდა, თუმცა შესაბამისი შემოსავალი 32.4%-ით გაიზარდა და 13.8 მლნ ლარი შეადგინა.

2016 წელს, 2015 წლის მსგავსად, შემცირდა მაუწყებლობის ტრანზიტის კოაქტიური ტექნოლოგიის გამოყენებით მიმღებ აბონენტთა რაოდენობა. 2016 წლის მეოთხე კვარტალში ამ ტექნოლოგიით სულ 52.9 ათასი აბონენტი სარგებლობდა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5.5 ათასი აბონენტით (9.4%-ით) ნაკლებია. ბაზარზე ძირითადი მოთამაშეები არიან საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია (CGC), TV ერა, კტვ 1, ტვ კომი და მე-7 არხი.

## პორადისიალური აბონენტების განაწილება




## ინტერნეტ ტელევიზის აბონენტების განაწილება



**მაუწყებლობის ტრანზიტი ინტერნეტის საშუალებით.** ამ მომსახურების აბონენტთა რაოდენობა შედარებით მცირება - სულ 6 ათასი აბონენტი. მაუწყებლობის ტრანზიტი ინტერნეტის საშუალებით ვგულისხმობთ შესაბამის ვებსაიტები რეგისტრაციის და სააბონენტო გადასახადის შემთხვევაში ინტერნეტის საშუალებით სატელევიზიო არხების ყურების საშუალების მიღებას. ამ მომსახურებას საქართველოში მხოლოდ სამი კომპანია - სს „სილქნეტი“ (silktr.ge-ს საშუალებით), შპს „აი თი დი სი“ (myvideo.ge-ს საშუალებით) და კტვ 1 (shoni-tv.ge-ს საშუალებით) ეწევა.

2016 წლის დეკემბერში საქართველოში სულ 16 მულტიპლექს ოპერატორი ეწეოდა საქმიანობას (დანართი 27), თუმცა მულტიპლექს მომსახურებით კომერციული შემოსავალი მხოლოდ 7-მა მათგანმა მიღიო (სტერეო +, საქართველოს ტელერადიოცენტრი, ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია, მედია ცენტრი ლია აფხაზეთისათვის, ტელეარხი 25, დამოუკიდებელი ტელეკომპანია ეგრისი, იმპერია). დანარჩენი ოპერატორები საკუთარ არხებს/არხს ავრცელებდნენ და შესაბამისად მულტიპლექსით კომერციულ მომსახურებას არ აწარმოებდნენ. 2016 წელს მულტიპლექსით მომსახურებიდან ოპერატორებმა შემოსავლის სახით სულ 5.6 მლნ ლარი მიიღეს, რომლის ძირითადი ნაწილი „სტერეო+“ ზე და „საქართველოს ტელერადიოცენტრზე“ მოდიოდა:



კომისიის ინფორმაციით, მულტიპლექსების მიერ გავრცელებული საეთერო ციფრული მაუწყებლობით შინამეურნეობების დაახლოებით 40% სარგებულობს. ამ ტექნოლოგიით მოსარგებლეთა რაოდენობა პროცენტულად ბევრად მაღალია რეგიონებში, ვიდრე თბილისა და სხვა დიდ ქალაქებში.


## მაუწყებლობა

2016 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემების შესაბამისად, საქართველოში სულ 72 სატელევიზიო და 38 რადიო მაუწყებელი საქმიანობდა. 2016 წელს 2015 წელთან შედარებით 13.1%-ით გაიზარდა სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი და 96.1 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება რადიო მაუწყებლობას, მისი შემოსავალი 2016 წელს 2015 წელთან შედარებით 7.6%-ით შემცირდა და 12.2 მლნ ლარი შეადგინა.

მოქმედი მაუწყებლების რაოდენობა




მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი  
(მლნ ლარი)




სატელევიზიო მაუწყებლების შემოსავლის ძირითად წყაროს რეკლამა და სპონსორობა შეადგენდა. მათი წილი მთლიან შემოსავლებში 2016 წელს შესაბამისად 62.3% და 20.5% იყო. აღსანიშნავია, რომ რეკლამიდან და სპონსორობიდან მიღებული შემოსავლები 2016 წელს 2015 წლის შესაბამის კვარტლებთან შედარებით გრძელი ტენდეციით ხასიათდებოდა. 2016 წლის ბოლო კვარტალში ამ მაჩვენებელმა 37.9%-ით გადააჭარბა 2015 წლის მეოთხე კვარტლის მაჩვენებელს.


სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით



სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით




სატელევიზიო სარეკლამო და სასპონსორო  
შემოსავლები კვარტლების მიხედვით




ასევე აღსანიშნავია, რომ სარეკლამო და სასპონსორო შემოსავლები კვარტლების მიხედვით არათანაბრად არის განაწილებული. როგორც წესი, ყველაზე დიდი წილი მეოთხე კვარტალზე მოდის, ყველაზე მცირე კი პირველ კვარტალზე. მაგალითად, 2016 წლის მეოთხე კვარტალში მიღებულმა შემოსავალმა წლიური შემოსავლის 36.2% შეადგინა, მაშინ როდესაც პირველ კვარტალში მიღებული შემოსავლის წილი 17.2% იყო.

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2016 წელს ყველაზე დიდი წილი რუსთავი 2-ს ეკავა - 43.5%. მას მოსდევდა ტელეიმედი - 27.4%, საქართველოს მედია ქსელი - 6.8%, სტუდია მაესტრო - 5.7%. სხვა მაუწყებლების შემოსავლების ჯამურმა წილმა 16.6% შეადგინა.

სატელევიზიო სარეკლამო და სასპონსორო  
შემოსავლების განაწილება კვარტლების  
მიხედვით 2016




სატელევიზიო სარეკლამო და სასპონსორო  
შემოსავლების პროცენტული ზრდა/შემცირება 2016  
წელს 2015 წელთან შედარებით კვარტლების მიხედვით




სატელევიზიო მაუწყებლების მსგავსად, რადიო მაუწყებლების შემოსავლის ძირითად წყაროსაც რეკლამა და სპონსორობა შეადგენს. მათი წილი მთლიან შემოსავლებში 2016 წელს შესაბამისად 76.0% და 8.7% იყო. 2013 წლიდან რადიო მაუწყებლების სარეკლამო და სასპონსორო შემოსავლები სტაბილურად იზრდება. 2016 წელს შემოსავლების გამოკვეთილი ზრდა დაფიქსირდა მესამე კვარტალში, როცა 2015 წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით შემოსავლების ოდენობა 17.9%-ით გაიზარდა.


სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული  
შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით




## რადიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაცილება სახეობების მიხედვით



## რადიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაცილება სახეობების მიხედვით



## რადიო სარეკლამო და სასპონსორო შემოსავლები გვარტლების მიხედვით




## რადიო სარეკლამო და სასპონსორო შემოსავლების პროცენტული ზრდა/შემცირება 2016 წელს 2015 წელთან შედარებით კვარტლების მიხედვით




არათანაბრად ნაწილდება რადიო მაუწყებლების სარეკლამო და სასპონსორო შემოსავლები კვარტლების მიხედვით. 2016 წელს ყველაზე მეტი შემოსავალი მაუწყებლებმა მეოთხე კვარტალში მიიღეს (34.4%), ყველაზე მცირე კი პირველ კვარტალში (18.4%).

შემოსავლების თვალსაზრისით, რადიო მაუწყებლებიდან 2016 წელს ყველაზე დიდ წილს „რადიო ჰოლდინგი ფირმებუნა“ ფლობდა - 41.8%, „რადიო იმედი“ - 11.5%, „კორტესი-გიდაგო“ - 9.0%, ტელე-რადიო კომპანია „მწვანე ტალღა“ - 4.9%. სხვა რადიოები კი ჯამში ბაზრის შემოსავლების 32.8%-ს იღებდნენ.

რადიო სარეალამო და სასპონსორო  
შემოსავლების განაწილება კვარტლების მიხედვით  
2016 წელს



რადიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის  
განაწილება სახეობების მიხედვით



ელექტრონული კონტენტის განვითარებას უზრუნველყოს  
ლიკვიდურის სისტემის წარმატების მიზანით

მომავალი რეალი

სახელმწიფო რეალი

სატელევიზიო რეალი  
მასიური რეალი


მასიური ლაბა

რეალისტური რეალი  
რეალისტური რეალი

სატელევიზიო რეალი  
სატელევიზიო რეალი

კონკურენცია

# დანართები



## 1. დაცვი

მომჩივანი: მომხმარებელი ნოშრევან სამხარაძე

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „მობიტელი“

თემა: „მობიტელის“ მიერ მომხმარებელ ნოშრევან სამხარაძისთვის სააბონენტო ნომრის ჩამორთმევა

შედეგი: დავის პროცესში მხარეების მორიგების გამო შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. „მობიტელის“ დაევალა მომხმარებლის ინდივიდუალურ ინფორმირებასთან დაგვშირებით დანერგილი სისტემის დეტალური აღწერის კომისიაში წარმოდგენა

გადაწვეტილების №: 13/16

მოდავე მხარეები: შპს „გ.ს.ი. ტექნოლოგია“, შპს „მაგთიკომი“

თემა: „გ.ს.ი. ტექნოლოგიის“ პრეტენზია - „მაგთიკომის“ საბილინგო სისტემაში ადგილობრივი გარების საერთაშორისო გარებად ჩათვლა. „მაგთიკომის“ პრეტენზია - „გ.ს.ი. ტექნოლოგიის“ მიერ „მაგთიკომის“ ქსელში საერთაშორისო გარის ნომრის იდენტიფიცირების გარეშე დასრულება

შედეგი: „მაგთიკომის“ მიეცა თანხმობა „გ.ს.ი. ტექნოლოგიასთან“ ურთიერთჩართვის მომსახურების შეჩერებაზე გარკვეული პირობებით, „გ.ს.ი. ტექნოლოგიას“ მიეცა გაფრთხილება „მაგთიკომის“ ქსელში საერთაშორისო გარის ნომრის იდენტიფიცირების გარეშე დასრულების გამო

გადაწვეტილების №: 60/16

მომჩივანი: ა(ა)იპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „ტელეიმედი“

თემა: „ტელეიმედის“ მიერ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ წარდგენილი სოციალური რეკლამის ეთერში განუთავსებლობა

შედეგი: „ტელეიმედის“ დაევალა ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ წარდგენილი სოციალური რეკლამის ეთერში განთავსება

გადაწვეტილების №: 108/16

მომჩივანი: სს „სილქენეტი“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „SK Communication“

თემა: „SK Communication“-ის მიერ „სილქენეტისთვის“ ურთიერთჩართვის მომსახურების (სართაშორისო გარების ტერმინაციის ნაწილში) საფასურის გადაუხდელობა

შედეგი: სს „სილქენეტი“ მიეცა თანხმობა შპს „SK Communication“-თან ურთიერთჩართვის მომსახურების (საერთაშორისო გარების ტერმინაციის ნაწილში) შეჩერებაზე

გადაწვეტილების №: 119/16

მომჩივანი: სს „სილქენეტი“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტენტი“

თემა: „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელის-ფოპტენტის“ მიერ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურების საფასურის გადაუხდელობა

შედეგი: „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტენტის“ განემარტა, რომ „სილქენეტის“ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების შეთავაზებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის და „სილქენეტთან“ შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში სს „სილქენეტი“ უფლებამოსილია „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტენტის“ შეუწყვიტოს მომსახურება

გადაწვეტილების №: 125/16

მომჩივანი: სს „სილქენეტი“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „ახტელი“

თემა: „ახტელის“ მიერ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების პირობების, მათ შორის ტარიფების შესახებ ინფორმაციის „სილქენეტისთვის“ წარმოუდგენლობა

შედეგი: „ახტელის“ დაევალა საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების პირობების, მათ შორის ტარიფების შესახებ ინფორმაციის „სილქენეტისთვის“ წარდგენა

გადაწვეტილების №: 210/16

მომჩივანი: შპს „ჯეოსელი“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „მაიფონი“

თემა: „მაიფონი“-ს მიერ „ჯეოსელისთვის“ ურთიერთჩართვის მომსახურების საფასურის გადაუხდელობა

შედეგი: „ჯეოსელის“ მიეცა თანხმობა „მაიფონთან“ მოქმედი ურთიერთჩართვის შეჩერებაზე, „მაიფონის“ მიერ ფინანსური ვალდებულების შესრულებამდე

გადაწვეტილების №: 410/16

მომჩივანი: მომხმარებელი თეიმურაზ სივსივა

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „ჯეოსელი“

თემა: „ჯეოსელის“ მიერ მომხმარებელი თეიმურაზ სივსივასთვის სააბონენტო ნომრის ჩამორთმევა

შედეგი: დავის პროცესში მხარეების მორიგების გამო შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება გადაწვეტილების №: 424/16

მომზივანი: შპს „ჯეოსელი“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „გლობალ ერთი“

თემა: „გლობალ ერთის“ მიერ „ჯეოსელისთვის“ ურთიერთჩართვის მომსახურების საფაურის გადაუხდელობა

შედეგი: „ჯეოსელი“ მიეცა თანხმობა „გლობალ ერთთან“ მოქმედი ურთიერთჩართვის შეჩერებაზე, „გლობალ ერთის“ მიერ ფინანსური ვალდებულების შესრულებამდე

გადაწვეტილების №: 409/16

მომზივანი: შპს „ჯეოსელი“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „ალექს დეველოპმენტ ჭორჭია“

თემა: „ალექს დეველოპმენტ ჭორჭიას“ მიერ „ჯეოსელისთვის“ ურთიერთჩართვის მომსახურების საფაურის გადაუხდელობა

შედეგი: „ჯეოსელი“ მიეცა თანხმობა „ალექს დეველოპმენტ ჭორჭიასთან“ მოქმედი ურთიერთჩართვის შეჩერებაზე, „ალექს დეველოპმენტ ჭორჭიას“ მიერ ფინანსური ვალდებულების შესრულებამდე

გადაწვეტილების №: 444/16

მომზივანი: ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“

მოწინააღმდეგე მხარე: „შპს „სტუდია მაესტრო“

თემა: „სტუდია მაესტროს“ მიერ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ წარდგენილი სოციალური რეკლამის ეთერში განუთავსებლობა

შედეგი: „სტუდია მაესტროს“ დავაბლა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ წარდგენილი სოციალური რეკლამის ეთერში განთავსება

გადაწვეტილების №: 521/16

მომზივანი: შპს „მაგთიკომი“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „მობიტელი“

თემა: „მობიტელის“ მიერ მისი ქსელიდან „მაგთიკომის“ ქსელში პორტირებულ ნომრებზე დარეკვისას არსებული ტექნიკური ხარვეზის მოუგვარებლობა

შედეგი: დავის პროცესში მხარეების მორიგების გამო შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება

გადაწვეტილების №: 542/22

მომზივანი: ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

თემა: „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ეთერში სოციალური რეკლამის სტატუსით გასული საქართველოს ფინასათა სამინისტროს სარეკლამო რგოლი, რომელიც, მომჩინების აზრით, პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს შეიცავს შედეგი: „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ეთერში გასული სარეკლამო რგოლი მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით, მაუწყებლის მომსახურების შესყიდვად, კანონით დადგენილი წესით

გადაწვეტილების №: 586/22

მომზივანი: ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „ტელეიმედი“

თემა: „ტელეიმედის“ ეთერში სოციალური რეკლამის სტატუსით გასული საქართველოს ფინასათა სამინისტროს სარეკლამო რგოლი, რომელიც, მომჩინების აზრით, პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს შეიცავს

შედეგი: „ტელეიმედის“ ეთერში გასული სარეკლამო რგოლი მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით, მაუწყებლის მომსახურების შესყიდვად, კანონით დადგენილი წესით

გადაწვეტილების №: 588/22

მომზივანი: ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „სტუდია მაესტრო“

თემა: „სტუდია მაესტროს“ ეთერში სოციალური რეკლამის სტატუსით გასული საქართველოს ფინასათა სამინისტროს სარეკლამო რგოლი, რომელიც, მომჩინების აზრით, პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს შეიცავს

შედეგი: „სტუდია მაესტროს“ ეთერში გასული სარეკლამო რგოლი მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით, მაუწყებლის მომსახურების შესყიდვად, კანონით დადგენილი წესით

გადაწვეტილების №: 587/22

მომზივანი: ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „პალიტრა TV“

თემა: თვითრეგულირების ეფექტუანი მექანიზმის შექმნის ვალდებულების დარღვევა

შედეგი: გაფრთხილება  
გადაწვეტილების №: 619/18

მომჩივანი: სს „სილქნეტი“

მოწინააღმდეგე მხარე: სს „გლობალ ერთია“

თემა: „გლობალ ერთია“ მიერ „სილქნეტის“ ქსელში ადგილობრივი ნომრით საერთაშორისო ზარის დასრულება შედეგი: „სილქნეტის“ მიეცა თანხმობა „გლობალ ერთთან“ ურთიერთჩართვის შეჩერებაზე, „გლობალ ერთის“ მიერ მისი კუთვნილი ქსელის დაცვის ეფექტიანი სისტემის შექმნამდე და „სილქნეტის“ ქსელში საერთაშორისო ზარის საერთაშორისო ზარებისთვის განკუთვნილი არხით დასრულების უზრუნველყოფამდე გადაწვეტილების №: 837/16

მომჩივანი: მომხმარებელი ავთანდილ ყურაშვილი

მოწინააღმდეგე მხარე: შპს „ჭეოსელი“

თემა: „ჭეოსელის“ მიერ მომხმარელებელ ავთანდილ ყურაშვილისთვის დარიცხული დავალიანების სისწორე

შედეგი: „ჭეოსელი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაევალა ეფექტიანი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინდივიდუალურ გაფრთხილებას მათ მიერ შეძენილი მომსახურების მოცულობის ამოწურვისა და განსხვავებულ ტარიფზე გადასვლის შესახებ

გადაწვეტილების №: 705/22

მომჩივანი: მომხმარებელი მიხეილ არბოლიშვილი

მოწინააღმდეგე მხარე: სს „სილქნეტი“

